სახალხო გაზეთი

№ 556 ხუთშაბათი, 22 მარტი, 1912 წ. № 556

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „შრომა“-ში, მუხრანის ქუჩა, და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთი“-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება, ხოლო ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები [illegible] მათდა. პარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6. ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული „სახალხო გაზეთი“ 190.

ტელეფონი № 12-29.

გაზეთის ფასი წელიწ. 8 მ. 50 კ. ცალკე № ყველგან 5 კ.
„ „ თვეში — 75 კაპ. დამატებიანი 7 კ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.

1912 წ. **სახალხო გაზეთი** 1912 წ.

სურათებიანი დამატება!

მიიღება ხელის-მოწერა

წლიური ხელის-მომწერნი (8 მ. 50 კ.) მიიღებენ სალიტერატურო კრებულს გრდემლს.

აპრილიდან წლის ბოლომდე ღირს 6 მ. 75 კ.

ერთი თვით 75 კაპ.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ **თვის 1 რიცხვიდან**, მხოლოდ სრული თვეებით და არა უმეტეს მიმდინარე 1912 წლისა.

---

16 მარტს, ღამის 10 საათზე, მშვიდად გარდაიცვალა

გაბრიელ ნიკიტას ძე სუნდუკიანცი,

რასაც განსვენებულის ქვრივი და შვილები აცხადებენ. განსვენებულის გვამს გამოასვენებენ ბინიდან (ლერმონტოვის ქუჩა, № 16), ხუთშაბათს, 22 მარტს, დილის 10 საათზე, ვანქის საკრებულო ტაძარში. **განსვენებულმა ანდერძად დასტოვა, რომ მისი კუბო გვირგვინებით არ შეამკონ.** (2.304.2)

შაბათს, 24 მარტს, ქ. გორის სამების ეკლესიაში დანიშნულია ორმოცის წირვა და პანაშვიდი განსვენებულ

კონსტანტინე ტიმოთეს ძის ბაგაევის

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ განსვენებულის **ქვრივი სერაფიმა სერგის ასული, [illegible] დიმიტრი და ასული ანასტასია ბაგაევები.** (1.1169.1)

ტელეფ. № 795. ქართული თეატრი ტელეფ. № 795.

შაქრო ბერიშვილის საღამო ოპერეტა

ორშაბათს, 26 მარტს, 1912 წ. ქართველ მსახიობთა ამხანაგობის მიერ წარმოდგენილი იქნება: პირველად ქართულ სცენაზე ტასო აბაშიძისა და ვასო აბაშიძის მონაწილეობით

I

მოჭიკჭიკე ჩიტები

ოპერეტა 2 მოქმედებად, მუსიკა ოფენბახისა თარგ. ვ. აბაშიძისა.

II

საღამოს ერთი ცხვირი ხეირია

კომედია 1 მოქ. თხზ. გ. სუნდუკიანცისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი: **ტასო აბაშიძე**, ვიქტორელი, ჩერქეზიშვილი, ნებიერიძე, ციმაკურიძე, ბაზუროვა, ბ-ნნი: **ვ. აბაშიძე**, ბერიშვილი, გოცირიძე, იმედაშვილი, იორდანოვი, მგალობლიშვილი, საფაროვი, ციციშვილი, აბდუშელი და სარაული

დასაწყისი საღ. 8$^{1}/_{2}$ ს. ხორო 40 კაცი. ორკესტრი ახალი კლუბისა.

დირიჟორი **პ. პ. ფალიაშვილი.** რეჟისორი **ვ. აბაშიძე.**

ადგილების ფასი საბენეფისოა. (3.1168.1)

ტფილისის კერძო სამკურნალო

ქსენიევის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, ვეტცელის სასტუმროს და მიხეილის პროსპექტ. ახლო

ტელეფონი № 590.

სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

მწოლიარე ავადმყოფების მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი სპეციალისტი-ექიმები:

შინაგანი ავადმყოფ.	**ლამბაშიძე ვ. დ.** (ყოველ დღე, გარდა კვირისა). 11$^{1}/_{2}$—12 საათ. **დავითიანი რ. ს.** (ყოველ დღე) 1—2. **ქიქოძე ტ. ს.** (ორშაბათ. და ოთხშაბ.) 9—10. **მაღალაშვილი გ. გ.** (ორშაბ., სამშაბ. და შაბათობით) 10—12. **მანსვეტაშვილი ვ. მ.** (ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ.) 2—3. **მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) 12$^{1}/_{2}$—1. **ფედოროვი ე. გ.** (ყოველ დღე, გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1.
[illegible]	**მარკევიჩი გ. ლ.** კონსულტატი (ორშაბ., ოთხშ. და პარასკ.) 11$^{1}/_{2}$—12$^{1}/_{2}$. **მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1. **ფირადოვი რ. ბ.** (ყოველ დღე) 12—1.
სამშობიარო ქალ. სნეულებ.	ექიმი-ქალი **ვერბიცკი-ფირადოვისა ლ.** (ყოველ დღე) 11—12. **მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1. **სულაკოვი ა. ი.** (ყოველ დღე) 12—1. **თიკანაძე ი. ე.** (ყოველ დღე) 1—2.
ბავშვის ავადმყოფ.	**ლამბაშიძე ვ. დ.** (ყოველ დღ. კვირ. გარდა), 11$^{1}/_{2}$—12 ს. **მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) 12$^{1}/_{2}$—1. **ფედოროვი ე. გ** (ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1.
ნერვ. სნეულ.	**გედევანიშვილი მ. ა.** (შაბათობით) 10$^{1}/_{2}$—11. **დავითიანი რ. ს.** (ყოველ დღე) 1—2.
ყურ. ყელ. ცხ.	**ათენიანცი ნ. ა.** (ყოველ დღე) 1—2, **ორემბოვსკი ნ. ს.** (ყოველ დღე) 2$^{1}/_{2}$—3.
თვალ. ავად.	**მუსხელიშვილი ვ. ს.** (ორშაბათობით, ოთხშაბ. და პარასკ.) 2—2$^{1}/_{2}$.
კან. ვენ.	**მზარეულიშვილი მ. ი.** (ყოველ დღე) 1—1$^{1}/_{2}$.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. Wassermann რეაქციისათვის 10 კ., საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მანეთიდან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მან. ოპერაციები, კვანსულიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია; **„606“ წამლის** შეშხაპუნება. ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათიანი საფასურით. (წ.—1010—299)

დოქტორი მედიცინისა ბერლინის უნივერს. **გ. გ. მეგრაბიანცი**

წამლობა ჭლექისა ფილტვებისა, ძვლებისა, და სხვა ორგანოთა **ტუბერკულინ**

შინაგან სნეულებით ავადმყ. მიღება ყოველ-დღე დილ. 9—11 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე. კათოლიკეთა ქუჩა, № 10. ტელეფ. 792. (თ.100—1534—182)

შეიძლება დაკვეთა: **ილია ჭავჭავაძის თხზულებანი**

ექიმ მიხეილ გედევანიშვილის საგანგებო გამოცემა

წიგნი დაიბეჭდება ძვირფას ქაღალდზე; ილიუსტრაციებით; ძვირფასი ყდით; შეიცავს დაახლოვებით 600 გვერდს; მოთავსებული იქნება ყველა **ლექსები და ბელეტრისტული ნაწარმოები** (აგრეთვე ჯერ დაუბეჭდავიც); ჩაერთვება მგოსნის ვრცელი ბიოგრაფია და მისი ნაწარმოებების კრიტიკული განხილვა. ფორმატი in quarto. **ფასი 8 მანეთი**, რომლის გადახდა შეიძლება სამ ნაწილად; 3 მან. ხელის მოწერისთანავე, 3 მ. ენკენისთვეში და 2 მ. გიორგობისთვეში. ვინც 10 ცალზე ნაკლებს არ გამოიწერს. 10% დაეთმობა. გასასყიდად წიგნი არ გამოვა. დამკვეთელთ წიგნები დაურიგდებათ 1913 წელში.

წიგნის დაკვეთა შეიძლება: ტფილისში, ყორღანოვის ქუჩა, № 20, **ექიმ მიხეილ გედევანიშვილთან;** წერა-კითხვის საზ. წიგნის მაღაზიაში და ტფილისის კერძო სამკურნალოში (ქსენიევის ქ., № 7). ფოსტით ფული უნდა გამოიგზავნოს მხოლოდ ამ მისამართით (აგრეთვე ყოველნაირი მიწერ-მოწერისათვის:

Тифлисъ, Коргановская № 20, собст. д. Д-ру Мих. Гедеваши. (3—1153—3)

ყურადღება!

თუთუნის მწეველთ ვთხოვთ,

ყურადღება მიაქციონ ახლად გამოსულ **პაპიროსებს**

„ირის“,

25 ცალი 15 კ. და 10 ცალი—6 კ.

საუკეთესო და კარგად გამოსულ ოსმალურ თუთუნისა, ნაზი სურნელება აქვს და რბილი სასიამოვნო გემო.

ყველგან იყიდება.

თამბაქ. ქარხანა **„ძმანი სეილანოვები“.**

ტფილისი, ალექსანდრეს ქ. № 42. (100.1036.3)

ტფილისის ქალაქის გამგეობა

საყოველთაოდ აცხადებს, რომ

სალდათის ბაზარში (იარმუკაში)

[illegible]

შემდეგ ადგილებში:

1) **თევზეულობა, პასკები, კულიჩები** და მისთვის საჭირო სანელი გაიყიდება მოედნებზე ბაზრისა, მჭედლებისა, ნერსესოვისა და რუსის ქუჩის მარცხენა მხარეს.

2) **ღვინო, კალბასი და ყველეული**—რუსის ქუჩის მარჯვენა მხარეს,

3) **სოფლებიდან ჩამოტანილი კვერცხები, დაკლული ქათმები, დაკლული გოჭები** და სხვა—ბარონისა და ბაზრის ქუჩის ნაწილში.

4) **ცოცხალი ბატკნები და მწვანეულობა**—გრაფის ქუჩაზე.

5) **ცოცხალი გოჭები და ქათმები ურმებით** (თუ პოვოსკებით) პატარა ვანქის ქუჩაზე.

სავაჭრო-სამეურნეო პოლიციის კანტორა (რუსის ქუჩაზე, სახლი სომხეთა სემინარიისა, სადაც იარმუკაა), ვნების კვირის განმავლობაში

ღია იქნება დილის 6 საათიდან საღამოს 6 საათამდე. (1.1171.1)

გაფრთხილება!!

ხრისტოდულიდისის ფირმის **აბრეშუმის თესლის ყალბი ეტიკეტის გაკეთების შესახებ** ბათუმის გაზეთებში დაიბეჭდა ცნობები **ხრისტოდულიდისის** ფირმის „ეტიკეტის“ ფალსიფიკაციის შესახებ.—ვაფრთხილებთ ქუთაისის გუბერნიის მეაბრეშუმეებს ხრისტოდულიდისის ფირმის თესლი მხოლოდ ჩვენს აგენტებთან და სანდო პირთაგან შეიძინონ. ფირმის წარმომადგენელი: **სავაჭრო სახლი ი. გოკიელოვის და შ-ბის.** (3.1172 1)

გამგეობა

ყვირილის სამეურნეო საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა, აქით აცხადებს წევრთა საყურადღებოდ: რომ ძლიერი, რიგი ჩვეულებრივი საზოგადო წევრთა წლიური კრება ბანკისა დანიშნულია 1 აპრილს ამა 1912 წელს ყვირილის საკრებულო დარბაზში დილის 9 საათზე.

განსახილველი საგნებია:

1) მოხსენება სარევიზიო კომისიისა. 2) მოხსენება საბჭოსი ბანკის მდგომარეობის შესახებ. 3) მოხსენება გამგეობისა: ა) მ. გაჩეჩილაძის საბეჭდელი მანქანის შესახებ. ბ) განმარტება სამინისტროს კანცელარიისა წიგნების დაშნურვის შესახებ. გ) წესდების მე 5 და 66 პარაგ. შეცვლის შესახებ. დ. საკუთარი შენობის შეძენის შესახებ. ე) მოსამსახურეთა მომატების შესახებ და ე) მოულოდნელი ხარჯების შესახებ. 4) დამტკიცება 1911 წლის ანგარიშსა. 5) დამტკიცება 1912 წლის ხარჯთ-აღრიცხვისა. 6) არჩევნები: ა) ორი საბჭოს წევრისა, ნაცვლად თ. ნანეიშვილისა და მღვ. გაჩეჩილაძისა, ბ) ერთი გამგეობის წევრის ნაცვლად ილია მაღლაკელიძისა. გ) სარევიზიო კომისიის წევრების არჩევა. დ) აგრეთვე გამგეობის თავმჯდომარის ტ. ნიორაძის განცხადება სამსახურზე თავის დანებებისა. (3—1173—1)

გამოვიდა და იყიდება

ქართ. შ. წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების

წიგნის მაღაზიაში

ქართულ სიტყვა-კაზმულ მწერლობის საზოგადოების

სალიტერატურო კრებული

„გრდემლი“

ფასი 1 მ. 50 კ. (თ.1098.38)

ტფილისის ქართული საამხანაგო მომღერალ-მგალობელთა **გუნდი**

(დაარსებული 1910 წელსა).

15-დან 50 კაცისაგან შედგენილი და ახლად შეკერილ ქართულ ჩოხა-ჩაქურებით გამოწყობილი, რომელიც ასრულებს ხალხურ სიმღერებს და ეკლესიურ გალობას, იღებს მონაწილეობას ქართულ კონცერტებში, მუსიკალურ დილა-საღამოებზედ, წარმოდგენებზე, სასიმღერო პიესებში და სხვა, როგორც ტფილისში, ისე პროვინციებშიაც. ამ გუნდთანვე არსდება **„ქართველ მუშათა გუნდი“**-ც. გუნდის მიწვევა-დაკვეთა **ერთი კვირით ადრე** და ახალ მომღერლების მიღება-ჩაწერა გუნდში იკითხეთ **მ. კავსაძესთან**, სამშაბათობითა და ხუთშაბათობით საღამ. 5—6 საათამდინ. ავჭალის მოედანი № 11. (5.1163.2)

ზუბალაშვილების სახ. სახლი

ქართულ წარმოდგენების მმართველი წრე პარასკევს 30 მარტს 1912 წ. გამართავს წარმოდგენას. წარმოდგენილი იქნება:

1. **გამცემი** დრ. 3 მოქ. ი. გედევანიშვილისა.
2. **მათიკო** მე-3-მე მოქ. ავქ. ცაგარლისა.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

მორიგი წევრი 1. **რომანიშვილი-დგებუაძე.** რეჟისორი **ალ. წუწუნავა.** (5—1174—1)

ზუბალაშვილების სახელობის სახალხო სახლთან

ქართულ წარმოდგენების მმართველი წრე ორშაბათს 26 მარტს 1912 წ. გამართავს წარმოდგენას წარმოდგენილი იქნება:

1. მეშლილები

პიესა ორ მოქ. ტ. რამიშვილის

2. მრუდე-სარკე. (ღილატი) ლამისა

მეორე განყოფილების დასაწყისში **ბ. აგასოვი** შეასრულებს მეფისტოფელის არიას.

დასაწყისი საღამოს 8 საათზედ.

მორიგი წევრი ვ. რაქვიაშვილი რეჟისორი **ალ. წუწუნავა** ადმინისტ. **ს. ჯულელი.**

საფუძვლიან გადაკეთების შემდეგ **გაიხსნა** ახალ პატრონთა ხელში გადასული

კაფე-პარიზი

ქართველ თავად-აზნაურთა სახლი. სასახლის ქუჩაზე.

ღია იქნება ღამის 2 საათამდე

11—1 საათ. ◆ 1—5 ს. ◆ 5—2 ს.

საუზმე—30 კ. ◆ **სადილი.** ◆ **ვახშამი**—30 კ.

ყოველ დღე: ღომი ღოშით, საცივი, ხარჩო, და სხვა საგულისგულო საჭმელები, როგორც ევროპიული, ისე აზიური. **კერძები:** მხოლოდ წმინდა ერბოთი მზადდება ცნობილ მზარეულის მეთვალყურეობით. **ყავახანა გაფართოვებულია.** მივიღეთ ახალი [illegible]. საჭმელებს სახლებშიაც ვამზადებთ თვიურად, დიდის შეღავათით. [illegible]

ქართულ სიტყვა-კაზმულ მწერლობის საზოგადოება

შეუდგა ბესარიონ გაბაშვილის ბესიკის თხზულებათა გამოცემას. წიგნი სივრცით 200 გვერდამდე იქნება და გამოვა ნაადდგომევს. წინასწარის ხელის-მოწერით წიგნი ღირს 40 კაპ. ხელის-მოწერა მიიღება მხოლოდ წიგნის გამოსვლამდე 1) წერა-კითხვის საზოგადოების ტფილისის წიგნის მაღაზიებში და 2) „სახალხო გაზეთის“ რედაქციაში. წიგნის გამოსვლის შემდეგ ფასი მომატებული იქნება. (20—1125—18)

საკონდიტერო და საგულკე „იდეალ“.

ჩერქეზოვის (ავჭალის) ქუჩა, ანდრეევის ქუჩის დასაწყისი № 12.

ჩვენი პატივცემულ მუშტრების საყურადღებოდ!

წარსულ წლების დაგვარად აღდგომისთვის მაქვს წმინდა ერბოთი მომზადებული **პასკები და კულიჩები** უმაღლესი ხარისხოვანი ღირსებისა. ფასები ყველასათვის ხელმისაწვდომია: 20 კაპ. 25 და 30 კაპ. ვიკვეთ ყოველგვარ საკანდიტერო ნაწარმოებისას.

ჩვენი პასკები და კულიჩები სურნელოვანი, მშვენიერი გემოვნებისაა, რაშიაც ჩვენი პატივცემული მსყიდველები არა ერთხელ დარწმუნებულან, და ამისთვის დანარჩენებსაც ვთხოვთ მობრძანდეთ და ადგილობრივ დარწმუნდნენ.

აგრეთვე დიდი არჩევა მისალოც კვერცხებისა. შაქრის, შოკოლადის. ხისა, დრაგანტო, ალიბასტრი და სხვა.

ყოველ-დღე ახალ-ახალი **საფუარი** (2—318—1)

ნოტარიუსმა ბოლესლავ ვაცლავის ძე ლუკომსკიმ

გახსნა საკუთარი კანტორა: განოვის ქ., № 7. (3.301.3)

შპალიერი

ძმ. ტარნოპოლთა ქარხნისა.

ტფილისის განყოფილება.

იმყოფება გოლოვინის პროსპ., № 21, სახ. არტისტ. საზ., **ტელეფ.** № 355. **საწყობში** ყოველთვის ბლომად არის შპალიერი, რომელიც **საქარხნო ფასებში იყიდება,** თოფი 8 კაპ.-დან 6 მან.-დე. ქარხანას აქვს საწყობები რუსეთის იმპერიის ყველა დიდ ქალაქებში. შპალიერის ნიმუშები იგზავნება უფასოდ. (50.1159.3)

აგენტი ი. მ. მიქელაიშვილი

იღებს ხელის-მოწერას როგორც ადგილობრივ ისე სხვა ქალ. ჟურნალ-გაზეთობაზე, აგრეთვე სასტამბო საქმეებს; არის აგენტად განცხადებათა შესაკრებად სააქციონ. საზ. „ანონსი“-სა, რკინ. გზ. და სანავოსნო სადგურებზე და ტრამვაიებში პლაკატების გასაკრავად. პირადად იღებს ყოველ დღე, დილ. 8—9 ს. ადრესი: მიხეილ. პრ. № 5. (5.1176.2)

საგურთალოზე

მშვენიერ ალაგას,

ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ოთხკუთხ **საჟენი 80 კ.-დან.**

მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე **თაქთაქიშვილს,** დილის 6 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ვალი,** თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. (წ. 1147 263)

ექიმი კბილისა ნინო რცხილაძე

მიიღებს ავადმყოფებს დილის 10—2 ს.-მდე და საღამოს 5—7 ს. ადრესი: ოლღას ქუჩის შესახ. № 5.

ექიმი ა. ნ. დიასამიძე

კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—3 ს. საღამ. 6 7 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8 9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. № 3, ს. გაბაშვილისა. (უ

გამოცდილმა
მასწავლებელმა

ჩვეულებრივად წელსაც გააგრძელა მეცადინეობა მოსწავლე ქალ-ვაჟებთან. **მიღება პირობებით:** გიმნაზიისთვის სხვა და სხვა კლასებისთვის, როგორც ვაჟთა, ისე საქალებოსთვის. სამასწავლებლო ხარისხზე, საბებიო ინსტიტუტისთვის, სამხედრო და სატეხნიკო სასწავლებლისთვის. **აგრეთვე გააგრძელებს მიღებას: სასულიერო სემინარიისთვის, გიმნაზიისთვის, რეალურ, სამხედრო და მიწის მზომელთა** სასწავლებლისათვის, **სამოქალაქო და სატეხნიკო** სასწავლებლისათვის. ამზადებს ერთ და ორ კლასიან **მასწავლებლობის ხარისხზე,** ყველა კლასის **ჩინისთვის.** ღებულობს **ანბანის უცოდინარ** ქალ-ვაჟებსაც. მეცადინეობა ჩვეულებრივად იქნება სამ ალაგას: 1) ვერაზე, 2) ვაგზალზე, 3) ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. მონაწილეობას იღებენ მასწავლებლები, მცოდნენი უცხო ენებისა და სხვა და სხვა საგნებისა.

იღებს პირობებით. მეცადინეობა იწყება დილის 8 საათზე და გრძელდება საღამოს 8 საათამდე. მსურველ მოწაფეებს არა უფროსს 15 წლისა ღებულობს სრულ ხარჯზედაც **პანსიონში.**

მოლაპარაკება მასწავლებელთან შეიძლება ყოველ დღე, სანამ შეივსებოდეს აღნიშნული რიცხვი მოწაფეებისა.

Адресъ: Семеновская ул., д. 23, Кв. 1. входъ съ подъѣзда, нижній звонокъ, спросить учителя.

А съ Елизаветинской ул. д. № 38. (недалеко отъ памятн. Воронцову).

(თ. 1084-119)

სამკურნალო

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის. ვანქის დიდ. ქუჩაზე, №23. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად. ტელეფონი № 483.

ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ავადმყოფთა მიღება 9½-დან 5 ს.-დე.

პროფ. სუბბოტინი. ქირურგ. ავად. ორშ. ხუთშ. 3—4 ს. წინდაწინ ჩაწერვით.

ასპისოვი. ცხვირ., ყელ. და ყურისა. ყოველ-დღე. 1—2 საათამდე.

ბოჟოვსკი. ორშ., ოთხშ., პარასკ.. კვირ. 4—5 საათ.

არგუთინსკი, შინაგ., ბავშვ. ყოველ დღე 9½ სათ. 11 ს.

მონსე. ბავშვთა, შინაგ. ავადმყ. ორშაბ., ოთხშაბ., პარასკ. 1½—3 საათ.

ნოვიცკი. ქალთა ავადმყ., ყოველ დღე 1—2 საათ.

კალმაკაროვი. ქალის ავად. ყოველ-დღე გარდა ხუთშაბათისა, 12—1 სათ.

ულლადნიკოვი. შინაგ. ავად. სამშ., ხუთშაბ. 1—5 საათ.

რიდელი. შინაგ. ავად. და ბავშვ. ყოველ დღე, გარდა ხუთშ. და კვირისა 12—1 საათ.

თეთრაძე. სიფ., ვენერ., კან. ყოველ-დღე 1—3 საათ.

ჩუდნოვსკი ი. ნერვ., სულ., ელექტროტერაპია, ყოველ-დღე გარდა კვირა-უქმისა 11½—1 საათ.

ცხვირ. ყოველ დღ. 11—12 ს.

რუდენკო. შინაგ. ხუთშ. და კვირ. 3—4 ს.

ვესელოვზოროვი ქირურგ. ავად. ყოველ დღე 2—3 საათ.

ერმოლაევი—ბავშვ., შინაგან.-ყ. დღ. 1-2 ს

ტერ-ნერსესოვი. ქირურგ. ყოველ დღე გარდა ხუთშ. 1—1½ ს.

იოსელიანისა ქალთა ავად., ორშაბათ. ოთხშ., პარასკ., კვირა 11—12 საათ.

ბაგდოევისა, კბილ. ყოველ დღე 3—5 ს.

ლიმონი. კბილ. 10—1 ს.

კუნთებში შეუშხაპუნებენ და ძარღვებში შეუშვებენ „606“-ს საღამოს 5—7 საათამდე.

კონსულტაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძებისა და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. სიფილისის თაშანგის) გამოკვლევა სისხლში პროფ. ვასსარის შრატით. შარდის სადენთა ცისტოსკოპია და კატეტერიზაცია. (თ. 1032—66).

ვაგზლის კერძო
სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვაგზლის ქუჩა. № 8. ტელეფონი № 695.

ე. ს. ვაშაკიძე. ყოველ დღე, შინაგან ავადმყ. 9½ ს. 10 ს,

ა. ნ. დიასამიძე ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ, კანისა და ვენერ. 11 12 ს.

ბა. პოპოვი ყოვ. დღე, კვირ. გარდა ყელ, ყურ. და ცხვ. სნეულ. 11 11 ½.

შ. ა. მიქელაძე შინაგან და ბავშვთა ავადმყ. 1 2 ს.

ნ. მ. მელიქიშვილი. ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1 2 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით

წამლობა 606-ი

(წლ. 1090 232)

ელექტრონისა და რენტგენის
სამკურნალო
მიხ. გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებს ყოველ-დღე დილ. 12—1 ს., საღამოს 6—7 ს., გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყოროღანოვის ქ., № 20. (წ.—1022—6).

დოქტორი მედიცინისა
ი. გ. თიქანაძე

სამკურნალო აკადემიის სამშობიარო და სადოსტაქრო კლინიკების ორდინატორად ნამყოფი, იღებს ფეხმძიმეთ, დედათაბუნების, სადოსტაქრო და საშარდე ორგანოთა (ვენერიულის გარდა) სნეულებით ავადმყოფ მანდილოსნებს. ყოველ დღე საღამ. 5—7-მდის, კიროჩნის ქ. სახ. № 18, თავ. ვაჩნაძისა, ოფიცერთა ეკონომიურ საზოგადოების მაღაზიის პირდაპირ.

საშარდე ორგანოთა სნეულებით ავადმყოფნი მხოლოდ ხუთშაბათობით და კვირაობით მიიღებიან. ტელ. № 1182. (თ. 1591 134)

ექიმი ვ. მუსხელიშვილი მიიღებს თვალის ავადმყოფთ ყოველ დღე დილ. 9—11 ს. დიდი მთავრის ქ., № 67, სახლი სვანიშვილისა

ექიმი შ. ა. მიქელაძე იღებს **შინაგან და ბავშვთა სნეულებიან** ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.—6½ საათ. კახეთის ქ., №

ექიმი ე. ვაშაკიძე იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს, დილით 3—9 ს., საღამოთი, —7 ს. ბაქოს ქ. № 12 ს. (9—62.

ექიმი ე. ი. მინასიანცი შინაგან, ბავშვთა, კუჭისა და ნაწლევ, სნეულებათა, პარიზელ პროფეს. Mathieu-ის სპეციალურ კლინიკიდან. ღებულობს დილ. 9—11 ს.-დე და საღ. 6—7 ს.-დე. ელისაბედის ქ., № 39, ტელეფონი № 1067. (100—1117—1/3).

ექიმი ი. ი. ბერიშვილი სწამლობს **საშარდე** ორგანოთა, **ათაშანგისა და კანის** ავადმყ.; **ვასსერმანის** რეაქციით იკვლევს ათაშანგისაგან მოწამლულ სისხლს.

მიღება ნაშუადღ. 3—5½ ს. **ელისაბედის** ქ., № 94, საფოსტო განყოფი. პირდაპირ. (25—249—24)

ექიმი კბილისა და ღრძილებისა პ. ა. ქაჯაია იღებს ავადმყოფებს დილით 8—2 ს. საღამოთი 3—7 საათამდე. ელისაბედის ქუჩა, № 151 (დიდუბე). (თ.—1049—53)

ექიმი კბილისა ალ. სოლოღაშვილი იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9-2 საათ. და საღ., 5—7 ს-მდე. გოლოვინის პრ., № 12. სახლი მდივნისა.

ექიმი პ. არდაზიანი შინაგან და ბავშვებ. ავადმყოფ. (სპეციალ. ფილტვების სნეულება, სისხლის ნაკლულება, რევმატიზმი—ქარები), ტფილისი, ალექსანდროვის ქუჩა, № 3. დილის 9—12. საღამოს 5—7. (25.1045.75).

ექიმი ქ. ქუთაისი. იროდიონ ამბროსის ძე ცეხანოვსკი

ღებულობს შინაგან საშარდე, სასქესო, ვენერიულ სენით და სიფილისიან ავადმყოფებს დილის 10—12 და საღ. 5—7 ს., ქარავან-სარაის და მიხაილოვის ქ. კუთხე სასტუმრო „ლონდონი“. (თ.—1129—22).

ახალი ამბავი

ტფილისი

✦ **ილია ჭავჭავაძის თხზულებათა გამოცემა.** როგორც მკითხველებმა იციან, ამ თხზულებათა გამომცემმა საგანგებო კომისიამ უკვე გამოარკვია, რა სახით უნდა იყოს გამოცემა. ახლა კომისიას მსჯელობა ჰქონია განსაკუთრებით დასურათების შესახებ. კრებებს დასწრებიან მოწვეული პირნიც: ცნობილი მხატ-ძე, ექ. ღამბაშიძე, ექ. მელიქიშვილი და ნიკ. ქართველიშვილი. კრებას მხატვარ გაბაშვილის რჩევით გადაუწყვეტია, აარჩიოს ყველა ნაწარმოებიდან შესაფერი მომენტები, დასდგას ცოცხალი სურათები და მერმე ფოტოგრაფიით გადაიღოს. შემდეგ ეს ფოტოგრაფიები მხატვრების მიერ შეკეთებული, დაიბეჭდოს.

✦ **ყაჩაღის მოკვლა.** დეპეშათა სააგენტოს განჯიდან ატყობინებენ: ნუხის მაზრაში, დიდის სროლის შემდეგ, აქ მოთარეშე ყაჩაღთა ბრბოს ბელადი მამედ-ჯავადი მოჰკლეს.

✦ **პურის ახალი ნიხრი** დასამტკიცებლად გუბერნატორს წარედგინა.

✦ **სახალხო ბანკი.** 24 მარტს მოსკოვს მიემგზავრება ტფ. საბჭოს ხმოსანი ა. ს. ბაბოვი, რომელიც 28 მარტს სახალხო ბანკის გახსნას დაესწრება. იქ, სხვათა შორის აღძრულ და განხილულ იქმნება საკითხი ტფილისში ამ ბანკის განყოფილების დაარსების თაობაზე.

✦ **ი. ი. რატილის დასაფლავება.** გუშინ, 21 მარტს, კუკიის კათოლიკეთა სასაფლაოზე დაასაფლავეს განსვენებულ მოღვაწის იოსებ ივანეს ძის რატილის გვამი. დასაფლავებას ნათესავ-ნაცნობთა გარდა სხვა და სხვა დაწესებულებისა წარმომადგენელნი დაესწრნენ. იყვნენ აგრეთვე წარმომადგენელნი ქართველ საზოგადოებისა, რომლის წინაშეც განსვენებულს დიდი ღვაწლი მიუძღვის. წარმოითქვა სიტყვებიც. დაწვრილებით ხვალ.

✦ **ა. ნ. სილანი,** ტფ. სამოსამართლო პალატის უფროსი ბრალდებელი, პეტერბურგიდან ტფილისს დაბრუნდა.

✦ **ხმოსანმა დ. ვ. ბეზობრაზოვმა** ქალაქის გამგეობას განცხადება წარუდგინა, რომლითაც იგი საფინანსო კომისიის წევრობას თავს ანებებს.

✦ **ახალი წიგნი.** რედაქციამ მიიღო ახალი რუსული წიგნი „წყალსადენის საქმე ტფილისში“. წიგნი შეუდგენია ქალაქის გამგეობის წევრს თავ. ა. მ. არღუთინსკი-დოლგორუკოვს და გამოუცია ქალაქის თვითმმართველობის ხარჯით.

✦ **განსვენებულ დრამატურგის გ. ნ. სუნდუკიანცის დასაფლავება** დღეს მოხდება ვანქის ტაძრის გალავანში.

✦ **შეწირულებანი.** როგორც ვწერდით, „ტფ. საკრებულო“-მ საქველმოქმედო საქმეებისთვის ფული გადასდო 1911 წლის მოგებიდან. ფული ამ გვარად იქმნა განაწილებული: პირველ საკომერციო სასწავლებელს 125 მან., მანთაშევის სავაჭრო სკოლას—200 მან., წმ. ნინოს დედათა სასწავლებელს—100 მან. სომეხთა საქალებო საქველმოქმედო საზოგადოებას—100 მან. და მსწრაფლ დამხმარე საზოგადოებას—75 მან.

✦ **ვაჭართა მოურავმა** ა. ნ. მილოვმა ტვ. ვაჭართა სახელით გუშინ **მისალოცი დეპეშა** გაუგზავნა სრულიად სომეხთა ქათალიკოსს სურენიანს ამ თანამდებობაზე მის დამტკიცების გამო.

საზოგადოებანი და კრებები

✦ **ქალაქის საბჭოს** მორიგი კრება აღდგომის უქმეების გამო 2 აპრილამდე აღარ იქნება.

✦ **ქალაქის საბჭოს სატექნიკო კომისიის** კრება დღეს მოხდება საელექტრონო სადგურის მოწყობის გასაცემ ხელშეკრულობის განსახილველად.

სასწავლებლებში.

✦ **საპოლიტეხნიკო კურსები.** დღეს კრება ექნება საგანგებო კომისიას საპოლიტეხნიკო კურსების წესდების პროექტის საბოლოოდ განსახილველად.

ქუთაისი

✦ **ქუთ. წმ. ნინოს სასწავლებლის ინსპექტორის თავის მოკვლა.** მარტის ოცს, დილით თავის ბინაზე თავი ჩამოუხრჩვია ქუთაისის წმ. ნინოს სასწავლებლის ინსპექტორს ლოლობერიძეს („ტ. ლ.“).

სოფლად

✦ **დ. ლანჩხუთი.** ამ რამოდენიმე თვის წინად აქ შესდგა კრება და ამოირჩიეს სამკითხველოსათვის გამგეები 3 კაცი. გამგეობის წევრები შეუდგნენ სამკითხველოს განახლებას. სამკითხველოს ახალი შენობის აგება იჯარით გასცეს, რომელიც ჯდება 300 მანეთი. სანამ ახალ შენობას გააკეთებდნენ, მანამ კი მოთავსებული იქნება ნაქირავებ შენობაში.

✦ ლანჩხუთის **ბაზარი გაანათეს.** დასდგეს 8 გაზის ფარანი.

✦ 12 მარტიდან აქ დაიწყო ბამატარებლების მიმოსვლა.

✦ 27 მარტს აქ გაიმართება **სალიტერატურო გასამართლება.** გაასამართლებენ „ქრისტინეს“ მონაწილეობენ: ბ. სიმონ ქვარიანი, გრ. გიორგაძე, გრ. გიგინეიშვილი, ვ. მასხულია, ვ. კალანდაძე, ქ. გურგენაძე, ალ. ჯაყელი, და სხვანი.

სხვათაშორის იმღერებენ აკოპოვი და ქ-ნი მარიამ კალანდაძე. ლექსებს წაიკითხავენ სხვათაშორის გურულ სცენებს წაიკითხავს ათინოგენი წულაძე ბოლო დროს გაიმართება ცეკვა.

✦ ამ მოკლე დროში შეუდგებიან **სასწავლებელისთვის ახალი შენობის აგება** რომელიც საზოგადოებას უჯდებათ, 27000 მანეთი.

სამტრედია

✦ ხუთშაბათს 7 მარტს სამტრედიის რკინისგზის თეატრში წაიკითხა **ლექცია** ს-პეტერბურგის საიმპერატორო უნივერსიტეტის პრივატ-დოცენტმა ბ-ნმა **პ. ს. კოგანმა:** „ქალთა საკითხი“, ლექტორმა საუცხოვოთ გადმოქვცა ლექციის შინაარსი.

✦ კვირას 4 მარტს სამტრედიის სცენის მოყვარეთა წარმოადგინეს **„ბაგრატ IV“** ხალხი ბლომათ დაესწრო ამ წარმოდგენას. წარმოდგენამ წყობრად ჩაიარა. როგორც გავიგეთ დ. სამტრედიის სცენის მოყვარეთა სექციას მოუწვევია **რეჟისორად ბ-ნი ვლ. ბარველი.**

✦ **სამტრედიაში.** ხელოსნებს რიცხვით 15 კაცს განუზრახავთ დაარსონ **სახელოსნო შემნახველ-გამსესხებელი ამხანაგობა.**

✦ ამინდები აქეთ ძრიელ კარგია, ყველაფერი გამოყვავილდა, ხალხიც მინდვრებს მოედო.

დეპეშა

პეტერბურგი

(საკუთარ კორესპონდენტისაგან)

ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლად უმაღლესად დაამტკიცეს თ-დი მიქელაძე.

დაშნაკცაკანების საქმე

დეპეშები

პეტერბურგი

დასრულდა დაშნაკცაკანთა საქმის გარჩევა. **სასამართლომ ექვსის წლით კატორგა მიუსაჯა მანასიანცს, ოთხ-ოთხის წლით კატორგა—ალაჯანოვს, მურადოვს და დანიელიანცს. ოცდა ექვსს მიუსაჯეს გადასახლება:** ციხე სამი თვიდან მოყოლებული ორ წლამდე—21, გამასწორებელ რაზმში გაგზავნა—ერთსა. ამ უკანასკნელს და სხვა 15 კაცს წინასწარი დაპატიმრების ხანი ჩაუთვალეს და გაანთავისუფლებენ. გაამართლეს 94 კაცი. (დეპ. პეტ. ს.)

გაბრიელ სუნდუკიანცის გარდაცვალების გამო

დღეს, ქ. ტფილისში დაასაფლავებენ განსვენებულ გაბრიელ ნიკიტის ძე სუნდუკიანცს.

დილის 10 საათზე განსვენებულის გვამს გამოასვენებენ ბინიდან (ლერმონტოვის ქუჩა, № 16) წინამძღვრობით ერთი მღვდლისა და ერთ დიაკვნისა. სხვა მღვდლებსაც შეუძლიანთ დაესწრონ—მხოლოდ შეუმოსავად.

სახლიდან ცხედარს რვა მუშა და რვა კინტო გამოასვენებს. ამ უკანასკნელთა შორის იქნება ერთი კინტო, რომელსაც მართლაც სახელად **პეპო** ჰქვიან და წაასვენებენ ვანქის საკრებულო ტაძარში, სადაც იგალობებს მომღერალთა ოთხ ხმიანი გუნდი. წირვის შემდეგ განსვენებულს დაასაფლავებენ იმავე ტაძრის ეზოში.

თანახმად განსვენებულის ანდერძისა, კუბოზე არც ერთი გვირგვინი არ იქნება. ყველა ამ პირთ და საზოგადო დაწესებულებებთ, რომელთაც ჰსურდათ გვირგვინის დადგმა, გადასწყვიტეს გვირგვინის ფული შესწირონ იმ ფონდის სასარგებლოდ, რომლითაც ძეგლი უნდა დაედგას არა თუ განსვენებულს, არამედ მის **პეპოს,** თანახმად მის ანდერძისა. მრავალმა პირებმა და საზოგადო დაწესებულებებმა გვირგვინის ფასი უკვე გადასცეს გაზ. „მშაკის“ რედაქციას. რედაქციამ უნდა შეაგროვოს ამ ფონდის ფულები, რათა განსვენებულის სურვილი შემდეგ სისრულეში მოიყვანოს. სხვათა შორის უნდა ვაცნობოთ მკითხველებს, რომ მოქანდაკემ მიქაელიანმა გადიღო განსვენებულის ნიღაბი.

სამგლოვიარო დეპეშები

განსვენებულის ოჯახობას და „მშაკის“ რედაქციას მრავალი სამგლოვიარო დეპეშები მისდით.

პირველი სამგლოვიარო დეპეშა [illegible] მოსკოვიდან თავად სუმბათაშვილ-იუჟინიდან და მსახიობ ქალი იაბლოჩკინასაგან.

აგრეთვე დეპეშები გამოგზავნეს სომხურ სცენის მსახიობ-ქალებმა ჰარაჩიამ, სირანუიშმა, მოსკოვის ლაზარევის ინსტიტუტის დირექტორმა გატულიანოვმა, მოსკოვის სომეხთა საეკლესიო საბჭოს-გამგეობამ, პეტერბურგის სომეხ სტუდენტთა ბიუროემ, ბაქოს სომეხთა კაცთმოყვარე საზოგადოების გამგეობამ, გაზ. „მშაკის“ რედაქტორმა ალ. ქალანთარმა, რომელიც ამჟამად მოსკოვში იმყოფება და სხვა და სხვა.

„სახალხო გაზეთის“ მკითხველებმა უკვე იციან, რომ გ. სუნდუკიანცის „მშაკის“ რედაქციის მიმართ დაწერილი ანდერძი ტფილისის სომეხთა დიალექტზეა. რათა ყველას შეეძლოს ამ ანდერძის გაგება, ამისათვის ამ გაზეთის რედაქციამ „მშაკის“ № 60 დასტამბა იგივე ანდერძი სომხურ ლიტერატურულ ენაზე.

მარტის 18-ს მოხდა „მშაკის“ არსებობის 40 წლის საიუბილეო კომიტეტის სხდომა. კომიტეტის წევრებმა ფეხზე ადგომით პატივისცეს კომიტეტის თავმჯდომარის ხსოვნას და დაადგინეს მის მაგიერ საპატიო თავმჯდომარეთ არავინ მოიწვიონ.

სომხურ „აღბიურ-ტარაზ“ ჟურნალების რედაქტორმა საზღვარ-გარედ გაგზავნა გ. სუნდუკიანცის სხვა და სხვა სურათები, კლიშეების გასაკეთებლად, რომელთ მიღების შემდეგ ბ. ნაზარიანი გამოსცემს განსაკუთრებულ ალმანახს, გ. სუნდუკიანცის სახსოვრად. სახალხო სახლთან არსებულ სომხურ წარმოდგენების მმართველ სექციამ დაადგინა მარტის 28-ს დასდგას განსვენებულ გ. სუნდუკიანის პიესა „ხათაბალა“ და მისი სურათი დაჰკიდოს სახალხო სახლის დარბაზში.

ტფილისში არ შემდგარა არავითარი კომიტეტი, რომელსაც მინდობილი ჰქონდეს მისი დაკრძალვა. ამ კომიტეტის როლს ასრულებს, თანახმად გ. სუნდუკიანცის სურვილისა „მშაკი“-ს რედაქცია.

ბიოგრაფიული ცნობანი

გ. სუნდუკიანცი გარდაიცვალა ტფილისში, მარტის 16-ს, საღამოს 10 საათზე და გარდაცვლის წუთამდე არ დაუკარგავს მეხსიერება.

თუმცა ამ უკანასკნელ დროს იგი თავს ცუდათა გრძნობდა, მაგრამ კიდევ გულს არ იტეხდა. სიკვდილის წინად მან მიჰმართა თავის მეუღლეს და უთხრა: „სოფიოჯან, ძნელად თუ ხვალ ცოცხალი-და მნახოთ, ჩემი საქმე გათავებულია, თქვენ კარგა იყავით, კეთილად იცხოვრეთ“.

განსვენებული დაიბადა ტფილისში 1825 წ. ივნისის 29-ს, ტფილისის ძველ მოქალაქეთა ერთ ერთ ოჯახში. პირველ დაწყებითი სწავლა მიიღო ცნობილი პედაგოგი შაჰან ჯრპეტის სახლში, რომლის მეუღლე პარიზელი ფრანგის ქალი იყო, სადაც მან სხვათა შორის ისწავლა ფრანგული და მიიღო ევროპიული განათლება.

1838 წ. იგი მიაბარეს ძმ. არზანოვების პანსიონში, სადაც დაჰყო 1840 წ. და შეისწავლა სომხური, რუსული, ქართული, გერმანული, ლათინური და სხვა. 1840 წ. იგი შევიდა ტფილისის კლასიკურ გიმნაზიაში, რომელიც გაათავა 1846 წ. და გაემგზავრა პეტერბურგს და მიღებულ იქმნა აღმოსავლეთის ენების ფაკულტეტში, სადაც შეისწავლა არაბული, სპარსული, თათრული, სომხური და ქართული, აღმოსავლეთის ისტორია და გეოგრაფია

1850 წ. განსვენებული ტფილისს დაბრუნდა და სახელმწიფო სამსახურში შევიდა, წინა პირველად როგორც თარჯიმანი კავკასიის ნამესტნიკის კანცელიარიისა, თუმცა ამ თანამდებობაში დიდხან არ გაჩერეს და ქალაქ დერბენდში გადაიყვანეს, როგორც განსაკუთრებითი მინდობილებათა მოხელე. დერბენდიდან მალე გადმოიყვანეს ტფილისში და გზათა სიმინისტროს უწყებაში განაწესეს სადაც 50 წელიწადი იმსახურა და 1896 წ. სამსახურს თავი გაანება.

1865 წ. პირველად ითამაშეს ტფილისში მისი პიესა „საღამოს ერთი ცხვირი ხეირია“. 1866 წელს გამოვიდა მისი მეორე პიესა „ხათაბალა“. შემდეგში დაიბეჭდა „ოსკან პეტროვიჩი საიქიოს“ კომედია.

1870 წ. წარმოდგენილ იქმნა მისი კომედია „კიდევ ერთი მსხვერპლი“, რომელშიც დახურათებულია ძველ და ახალ შთამომავლებთა შორისი ბრძოლა.

1871 წ. წარმოდგენილი იქმნა „პეპო“, რომელიც ტფილისში პირველად ითამაშეს ამ წლის აპრილის 30-ს. ეს პიესაც კი საკმარისი იყო, რომ მისი სახელი აეწია დრამატიულ მწერლობაში. შემდეგ, როგორც ეს უკანასკნელი, აგრეთვე სხვა პიესებიც ითარგმნა ქართულ, რუსულ და თათრულ ენებზე რადგანაც **პეპოს** პიროვნებაში მას დაუსურათებია მრავალ-ტანჯული მშრომელი ხალხი, ამისათვისაც ამ პიესების ავტორი თავის ანდერძით მოვალეთა ჰხდის საზოგადოებას ძეგლი დაუდგან **პეპოს,** და არა თითონ.

1878 წ. განსვენებულმა დასწერა კიდევ ერთი პიესა, „დაქცეული ოჯახი“ და ამის შემდეგ მთელი ოცის წლის განმავლობაში, ასე იგი 1898 წლამდე გაჩუმებული იყო. მხოლოთ ამ წელს გამოვიდა მისი ერთი პიესაც „მეუღლენი“.

1910 წ. დაიბეჭდა პიესაც „სიყვარული და თავისუფლება“, რომელიც მხოლოდ ერთხელ ითამაშეს სომხურ სცენაზე და თუმცა იგივე პიესა ქართულადაც ითარგმნა, მაგრამ ჯერ არც ერთხელ არ უთამაშნიათ.

1911 წ. გ. სუნდუკიანმა დასწერა უკანასკნელი დრამა „ანდერძი“, რომელსაც განსვენებული ბოლოს დღემდე ჯერ ასწორებდა და სხვა და სხვა პირებთან კითხულობდა, მათ აზრის გასაგებად. მისი ყველა პიესები, განსაკუთრებით უკანასკნელ ორისა, დაწერილია ტფილისელ სომეხთა დიალექტზე.

განსვენებულმა ფრანგულიდან სთარგმნა მოლიერის „ჟორჟ დანდენი“. იგი ორმოცის წლის განმავლობაში თანამშრომლობდა გაზ. „მშაკში“ და ამ გაზეთის დამაარსებელ განსვენებულ პუბლიცისტ გრიგორ არწრუნის დიდი მეგობარი იყო. მისი ფელეტონები, რომელნიც იბეჭდებოდნენ „მშაკში“, ამ წელს გამოვიდა ცალკე წიგნათ, რომლის შემოსავალი მან ამ გაზეთის საიუბილეო ფონდს შესწირა. **ა. კ—ნი.**

იურიევი. იურიევში არსებული კავკასიელ სტუდენტთა საზოგადოება თავის გლოვის ხმას უერთებს საზოგადო მწუხარებას, პეპოს დამწერის გარდაცვალებისა გამო.

კავკასიელ სტუდენტთა საზოგადოების თავმჯდომარე.

ხირსელი,

ზუბალაშვილის სახელობის სახალხო სახლში წარმოდგენების მმართველი წრის გამგეობამ 20 მარტის მორიგ კრებაზე მოისმინა სამწუხარო ამბავი **გ. სუნდუკიანცის** გარდაცვალებისა, პატივი სცა ფეხზე ადგომით. ამასთანავე დაადგინა დაესწროს დასაფლავებაზე და ახლო მომავალში პატივის საცემად წარმოდგენა გამართოს.

თელავის კურსების გამო

(დასასრული *)

სასამართლომ მოისმინა ვ. ჯაფარიძის განმარტება, და მისცა მას შემდეგი კითხვები: ა) თქვენ თვითონ შესაძლებლად სცნობდით გაკვეთილის მიცემას რუსულად I განყოფილებაში, თუ რამე გარემოებამ გაიძულ ათ ასე მოქცეულიყავით და დაგერღვიათ როგორც სახალხო სკოლების ინსპექტორის მიერ მოცემული პროგრამა, აგრეთვე სამოსწავლო გეგმა 1881 წლისა უმაღლესი მთავრობის მიერ დამტკიცებული, რომელიც მოითხოვს I და II განყოფილებაში დედა-ენაზე საგნების სწავლებას?

ვ. ჯაფარიძე—ერთის მხრით დარწმუნებული ვიყავი ასე მოვქცეულიყავ, რადგანაც კურსებზე მსმენელთა შორის რუსებიც იყვნენ, რომელთაც ქართული არ იცოდნენ.

სასამართლო: ზნეობრივად და პედაგოგიურადაც შეგეძლოთ იგივე გაკვეთილები მიგეცათ იმავე განყოფილებაში ქართულად და რა პირობებში შეგეძლოთ ასე მოქცეულიყავით?..

ვ. ჯაფარიძე—ჩემის აზრით ქართულად გაკვეთილის მიცემა შეიძლებოდა მხოლოდ იმ პირობებში, რომ კურსებზე დამსწრე ყველა მსმენელები და კურსების გამგეც ქართველები ყოფილიყვნენ, ან ქართული სცოდნოდათ და კურსების შესახებ ანგარიშიც რომ შესაძლებელი ყოფილიყო ქართულად დაეწერათ.

სასამართლო: რამდენი იყვნენ კურსებზე ქართველები და რამდენი რუს ?

ვ. ჯაფარიძე—სულ იყო 28, ამათში 2 რუსი მასწავლებელი და ერთიც სახალხო სკოლების ინსპექტორი პოგარელოვი, იგივე გამგე კურსებისა.

სასამართლო: პოგარელოვმა ქართული ლაპარაკი არ იცის?

ვ. ჯაფარიძე—იცის, მაგრამ ძლიერ ცოტა.

ამის შემდეგ სასამართლომ წინადადება მისცა ბ-ნს დ. შემოქმედელს წარმოეთქვა თავისი გასამართლებელი სიტყვა. მან სთქვა:

„ბატონებო, ამ განსახილველ საქმეში სამი უმთავრესი საკითხია: ა) დარღვეული იყო საზოგადოდ თელავის პედაგოგიურს კურსებზე პედაგოგიური პრინციპი თუ არა? ბ) დარღვეული იყო თუ არა 1881 წ. სასწავლო გეგმა კავკასიის უმაღლეს მთავრობის მიერ დამტკიცებული? და გ) მოხდა ყოველი ეს კურსების ხელმძღვანელთა პოლიტიკანობის გამო თუ არა?

დავიწყებ იქიდან, როცა სახალხო სკოლების ინსპექტორმა ბ-ნმა პოგარელოვმა მოიწვია ჯაფარიძე ლექტორად, გადასცა მასვე დაბეჭდილი პროგრამა, რომელშიაც სხვათა შორის ერთი მუხლია სახელდობრ: „სწავლება არითმეტიკისა 1 და 2 განყოფილებაში უნდა სწარმოებდეს ქართულს ენაზეო“. მაგრამ არავისთვის საიდუმლოებას არ შეადგენს, რომ სამოსწავლო უწყების მოხელენი თავიანთ ანგარიშებში წინ აყენებენ რაციონალურ პედაგოგიურ აზრებს, საქმით კი არღვევენ მასვე. ეს მისწრაფება ყველაზე უფრო თვალსაჩინოა სახალხო სკოლებში. ყველგან სახალხო სკოლების ინსპექტორების მიერ დაგმობილია 1881 წლის სასწავლო გეგმა, წინადადებას აძლევენ დასაწყის სკოლების მასწავლებლებს ბავშვის სკოლაში მიბარების დღიდანვე, ენკენისთვიდანვე დააწყებინონ რუსული ლაპარაკის სწავლება. განა ეს პოლიტიკანობა არ არის? მოიგონეთ პროცესი სასამართლოში **სემიონოვის და სუდაკოვის** შესახებ (ქუთ. გუბ. დირექციის მოხელენი) სასწავლო გეგმის დარღვევის გამო. რამდენია ამისთანა შემთხვევა, სასწავლო გეგმის დარღვევისა, ვერც კი ჩამოვთვლით. ჩვენი დასაწყისი სკოლების ძირის ამომთხრელი პოლიტიკა სასწავლო მთავრობისა დიდი ხანია გამეფებულია კავკასიის სამოსწავლო ოლქში. ნაყოფი ამ პოლიტიკისა არიან ბ. ლევიტსკები. ახლა შევხედოთ რა ზომით და რა ხელოვნურად გაატარეს ეს პოლიტიკა თელავის კურსების ხელმძღვანელებმა და მათ შორის ბ-ნმა ჯაფარიძემაც.

---

*) იხ. „სახ. გაზ.“ № 553,

კურსები მოწყობილია. საქმე მიდგება სანიმუშო გაკვეთილებზე, არის 26 მასწავლებელი ქართველი, 2 რუსი, გაკვეთილს აძლევენ ქართველ ბავშვებს I განყოფილების მოწაფეებს, რომელთაც რუსული ლაპარაკი ოთხი თვის განმავლობაში ჰქონდათ ნასწავლი. გაკვეთილებს ესწრება სახალხო სკოლების ინსპექტორი პოგარელოვი. დამახასიათებელია ისიც, რომ თვითონ კურსები მოწყობილი იყო საიდუმლოდ, ე. ი. არავის უშვებდნენ შიგ გარეშე პირს, არც სხვა უწყების მასწავლებლებს და არც იმავე უწყების სხვა მასწავლებლებს, კურსები დაიხურა. რა მოხდა კურსებზე? ვსთქვათ ყველაფერი რაც დაიწერა რუსულ-ქართულ ჟურნალ-გაზეთებში თელავის კურსების შესახებ ფაქტიურად სწორი არ არის. მივმართოთ თვითონ ჯაფარიძის განმარტებას. შეკითხვაზე რად მიაჩნდა სასურველად მას მიეცა არითმეტიკის გაკვეთილი რუსულ ენაზედაო, მან გვიპასუხათ: კურსებზე მსმენელთა შორის 2 რუსი იყო და ერთიც ხელმძღვანელი კურსებისა პოგორელოვიო, და ჩემთვის უფრო **მოხერხებული** იყო რუსულად მიმეცა გაკვეთილიო. ქართულად გაკვეთილის მიცემას შესაძლებლად ვცნობდი მაშინ, კურსების გამგე და ყველა მსმენელი ქართველები რომ ყოფილიყვნენ და ანგარიშიც კურსების შესახებ ქართულად დაწერილიყოფ. აი ჩვენება ბ-ნის ჯაფარიძისა, საჭიროა კარგად ჩაუკვირდეთ ამ ნაწილს მისის განმარტებისას, მოიგონეთ ბ-ნო მსაჯულნო, რომ იმ პროგრამაში, რომელიც პოგარელოვმა გადასცა ჯაფარიძეს, ცხადად არის ნათქვამი: „არითმეტიკის სწავლება I და II განყოფილებაში ქართულად უნდა იყოსო". საქმით კი რუსულად ახწავლიან. ჩუმად არის ბ-ნი პოგარელოვი, სდუმს ბ-ნი ჯაფარიძეც. საქმე გაჩარხულია. ეხლა საკითხი ის არის, პედაგოგიურია ეს თუ არა, დარღვეულია თუ არა 18 წლის გეგმის მოთხოვნილება. განმარტება საჭირო არ არის, ფაქტი თავის-თავად ჰლაღადებს.

ჩვენება ბ-ნის ჯაფარიძისა და მისი დამცველი ოწმეებისა, რომ თელავის ქალაქის ბავშვებმა იმდენად იციან რუსული ენა, რომ შეიძლებოდა მათი რუსულად სწავლებაო, ვერავითარ კრიტიკას ვერ გაუძლებს. პირადად მე ძლიერ კარგად ვიცნობ არა მარტო თელავს, მთელს კახეთსაც. თელავის ქალაქის ბავშვები არსებითად არაფრით განირჩევიან სოფლის ბავშვებში და იმ დასაწყის სკოლაშიაც, სადაც ჯაფარიძე აძლევდა გაკვეთილებს, სწავლობენ ღარიბ მშობლების შვილები, რომლის ოჯახშიაც მხოლოდ ქართულად ლაპარაკობენ. ყველა იმ კერძო წერილებს, რაც ბ-ნმა ჯაფარიძემ წარმოგიდგინათ სხვა დ სხვა პირთაგან, არავითარი ფასი არა აქვს და არც შეიძლება ჰქონდეს. ამ კერძო წერილების ავტორები მოსამსახურე პირნი არიან.

არავითარი ფასი არა აქვს აგრეთვე არც ერთს სტატიას და კორესპონდენციას ბ-ნი ჯაფარიძისას, რაც მან სასამართლოს წარმოუდგინა. 1905 წელს ვინ არ იყო ლიბერალობის სამოსელში გახვეული; თვითონ ლევიცკიმაც-კი დაჰგმო თავისი მოქმედება ასე რომ ჯაფარიძის სტატიებს, დაწერილს 1905 წელს პირდაპირი დამოკიდებულება ამ საქმესთან არა აქვს. ბ-ნი ჯაფარიძე „მუნჯური" მეთოდის შესახებ სწერდა იმ დროს, როცა ლევიცკი უკვე სცენიდგან გადიოდა. საჭირო იყო ბრძოლა იმ დროს, როცა გაცხარებული ანტიპედაგოგიური და სულის შემხუთავი ატმოსფერა ტრიალებდა ლევიცკის მეთოდის წყალობით ჩვენს სკოლებში. ვიმეორებ, რომ ყველა ამ სტატიებს, კორესპონდენციებს, აგრეთვე განცხადებას ბ-ნის ჯაფარიძისას პედაგოგიურ საბჭოში ქართული ენის დაცვის შესახებ, ამ საქმეში არავითარი გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს.

ამ სახით 81 წლის სასწავლო გეგმის დარღვევის ფაქტს და აგრეთვე პოლიტიკანობასაც თელავის კურსების ხელმძღვანელთა მიერ და კერძოდ ბ-ნის ჯაფარიძის მხრითაც უეჭველია ადგილი ჰქონდა.

რაკი ბ-ნმა ჯაფარიძემ მიიღო მონაწილეობა სასწავლო გეგმის დარღვევაში და ანტი-პედაგოგიური დასაწყისის გატარებაში, აქედან მე შემდეგი დასკვნა გამომყავს: გარუსების მომხრეთ მიმაჩნია ის კაციც, რომელიც ხელს უწყობს საქართველოში სამოსწავლო მთავრობას სახალხო სკოლების საშუალებით გარუსების მიზანს ამა თუ იმ გზით, სასწავლო გეგმის დარღვევით და სხ.

ამ სახით ბ-ნი ჯაფარიძე სახალხო სკოლების ინსპექტორის პოგარელოვის მიერ მიწვეული იყო ლექტორად თელავის კურსებზე, იგი დასთანხმდა და მისცა სანიმუშო გაკვეთილი რუსულად I განყოფილებაში, როცა ბ-ნი ინსპექტორის პროგრამა და ხელმწიფის მოადგილის მიერ დამტკიცებული 1881 წლის გეგმა მოითხოვდნენ, რომ ეს გაკვეთილი მას ქართულად მიეცა, უმრავლესობა თელავის კურსებზე დამსწრე მასწავლებლებისა, მოკლებული იყო სპეციალურ პედაგოგიურ მომზადებას, მათთვის თითოეულს სიტყვას, კურსებზე წარმოთქმულს, განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა და ყველა ის. რაც კურსებზე გაკეთდებოდა, ხსენებულს მასწავლებლებს შემდეგში უნდა ეხელმძღვანელათ; თუ მივიღებთ საზოგადოდ მხედველობაში დღევანდელ ჩვენს სახალხო სკოლების უბადრუკს მდგომარეობას და აგრეთვე იმ უარყოფით შედეგებსაც, რაც გამომდინარეობს სამოსწავლო მთავრობის მოხელეთა პოლიტიკანობისაგან და მათ მიმდევარს მასწავლებლებისაგან,—ბ-ნი ჯაფარიძე თავისი საქციელით თელავის პედაგოგიურ კურსებზე დამნაშავეა არა მარტო სახალხო სკოლისა და მასწავლებლების, არამედ მთელი ქართველი საზოგადოების წინაშეც. ამ თვალსაზრისით უნდა შეხედოთ ბბ. მსაჯულნო საქმეს და დასდოთ მსჯავრი ბ-ნ ჯაფარიძის საქციელს.

მეტი სათქმელი აღარა მაქვს რა.

ამა წლის იანვრის 3 სასამართლო შეუდგა საქმის საბოლოოდ გადაწყვეტას; თავდაპირველად წინადადება მისცა ორსავე მხარეს შერიგებაზე. ორნივე დათანხმდნენ, თუკი სასამართლო გამოსძებნიდა ისეთს ფორმულებს, რომელიც ორსავე მხარეს დააკმაყოფილებდა. ბ-ნმა დ. შემოქმედელმა განაცხადა—თუ ბ-ნი ჯაფარიძე აღიარებს, რომ იგი გაჰყვა [illegible] გზას და მოიქცა ინსპექტორის მიერ მიცემულის პროგრამის და 1881 წ. სასწავლო გეგმის წინააღმდეგ, როცა გაკვეთილს I განყოფილებაში აძლევდა არა დედა ენაზედ, მაშინ მზად ვიქნები შერიგებაზედო. ამის მხედვით სასამართლომ შეიმუშავა ასეთი ფორმულა:

„წარსულ ზაფხულში სახალხო სკოლების დირექციის მიერ თელავში გამართულს პედაგოგიურს კურსებზე, სადაც იყო 28 მასწავლებელი, ამათში სამი რუსი, ბ-ნმა ჯაფარიძემ პირველს განყოფილებაში წლის ბოლოს არითმეტიკის გაკვეთილი მისცა არა დედა ენით, თუმცა დირექციის პროგრამა უჩვენებდა დედა ენით სწავლებას, თანახმად 1881 წლის სასწავლო გეგმისა, ბ-ნმა ჯაფარიძემ ფაქტი არა სამშობლო ენით არითმეტიკის გაკვეთილის მიცემისა აღიარა, მაგრამ არ მიაჩნდა თავისი თავი 1881 წლის სასწავლო გეგმის დამარღვევლად.

ბ-ნმა შემოქმედელმა, როცა დაწვრილებით გაიცნო სასამართლოში ვ. ჯაფარიძის განმარტება, ვალდებულად დასახა თავისი თავი ჩამოეშორებინა პირადად მარტო ჯაფარიძისათვის ყველა ბრალდება, რაც ჯაფარიძის შესახებ იყო დასტამბული „Закавк. Рѣч"-ის №№ 187 და 199 სათაურით „გაკვრით" (Мимоходомъ).

რადგან ამ ფორმულაზე მოხდა ორივეს შერიგება, სასამართლომ ამ საქმის წარმოება მოსპო.

ამ დადგენილებას ხელს აწერენ:

სასამართლოს თავმჯდომარე **მიხ. გედევანიშვილი.**

სასამართლოს წევრნი: **ივ. ევდ. გამყრელიძე, მიხ. ქაიხ. ყიფიანი, სპ. იოს. ბაქრაძე და ლ. გ. ბოცვაძე.**

კიდევ ჩემს „მოპოლემიკეებს"

(დასასრული *)

ახლა მაინც „მომანიჭეთ" მე ეს უფლება ყოველის ბრალდებულისა და **ბრალმდებელი, უკანასკნელ სიტყვას ნუღარ მოისურვებთ** და თუ თქვენ მოისურვებთ, იმედი მაქვს, რედაქცია მოგაგონებთ სამართლის ზემოხსენებულ საანბანო წესს...

მაშ საბოლოოდ შევწყვიტოთ ამ საკითხზე გაზეთის ფურცლებზე ბაასი! გთხოვთ, თუ რომ სათქმელი კიდე დაგრჩათ, ყოვლად სამღვდელო დავითის აცნობოთ, ჩემთან და საზოგადოებასთან ერთად მისს მსჯავრს დაუკადეთ...

ახლა-კი, ნება მიბოძეთ საყურადღებოდ თქვენდა, ბ-ნო იაკობ, და საზოგადოდ, ყველა იმისა, ვ-ნც მოისურვებს ჩემზე აზრის გამოთქმას, გამოვაცხადო ქვემოხსენებული ჩემნი საქმენი. მათი გამოცხადება საჭიროდ მიმაჩნია, რათა ყველამ, ვისაც-კი რისიმე თქმა შეუძლიან რომელიმე ამ „საქმის" შესახებ, თავის აზრი გამოსთქვას ჩემ შესახებ, გააგებინოს ყოვლად-სამღვდელო დავითის პირით ქვეყანას- ვინ არის ჩვენში მტყუანი, მოღალატე ვარ მე ქვეყნისა თუ სამშობლო საქმის მუდმივი მსახური და მოტრფიალე...

იქნებ, მთავრობის წინაშე ოფიციალური დაცვა ქართულ ენისა თქვენ ისეთ დიდ საქმეთ არ მიგაჩნდეთ, როგორც ამავე საგანზე ქართულ გაზეთებში წერა, ქართველებისთვის მტკიცება იმისი, რომ სწავლება დედა-ენაზე უნდა სწარმოებდეს, მაგრამ, რა გაეწყობა, მე ყოველთვის წინააღმდეგ აზრისა ვიყავ და ნაცვლად ჩვენებურ გაზეთებში ქექა-ქუხილისა უყვირლად, ჩუმად და. წყნარად თავს ვიდევ და ბოლომდის გავიტანე (ხან მარტომ, ხან სხვებთან ერთად) შემდეგი **„საქმეები". პირველი „საქმე"**: ჩემს ზედამხედველობაში, უწინ რო ქაქანებაც არ ყოფილა ქართულ ენისა, როგორც სავალდებულო საგნისა, **დაარსებულა ქართულ ენის კათედრა** სასულიერო სასწავლებელში.

მეორე „საქმე": როცა, ხსენებულ კათედრის გამო დევნილი, სასულიერო სასწავლებელს გავშორდი და სასულიერო სემინარიაში შევაფარე თავი, აქაც—დახე სასწაულს!—ჩემსობას დაფუძნებულა ქართულ ენის „სავალდებულო" შვიდი გაკვეთილი.

მესამე „საქმე": ცოტა ხნის შემდეგ ეს შვიდი გაკვეთილი ჩემსავე დროს ცხრად გადაქცეულა, გაზრდილა.

მეოთხე „საქმე": გასულა დრო და ეს ცხრაც თერთმეტ გაკვეთილად გადაქცეულა ჩემსობასვე! გაზრდილა თუ არა სახელმწიფო, ხაზინის ხარჯით ქართულ ენის სწავლება?

მეხუთე „საქმე": ხანი გასულა და ჩემსობასვე ეს ქართული ენა **კათედრად გადაქცეულა**, ას წელიწადს ელოდა ქართველობა ამ წყალობას დ მხოლოდ ჩემსობას გაკეთებულა ეს დიდი „საქმე". ქართულ ენის მასწავლებელნი ყველა უფლების თანაზიარნი გამხდარან პენსიით, ჯამაგირი და სხვ... დიდი „საქმეა" თუ არა?

მეექვსე „საქმე": სამრევლო სკოლებში ისეთი „გეგმა" გაბატონებულა, რომელსაც მარტო ქართული ენა აღიარებია სასწავლო საგნად... ესეც ჩემსობას—1885 წელს.

მეშვიდე, მერვე და მეცხრე „საქმე": სამჯერ გაუქმებულა მზრუნველ იანოვსკ ს მეცადინეობა ქართულ ლოცვების მაგიერ მეგრულ ლოცვების შემოღების შესახებ სამეგრელოში (აბა ნახეთ ჩემი „განქიქებანი"?)

მეათე „საქმე": უკანასკნელ ისე წაუყვანიათ საქმე, რომ ყოველი საკითხი სამეგრელოს საქართველოდან მოწყვეტაზე საუკუნოდ დამარხულა, გაუქმებულა...

მეთერთმეტე „საქმე": შვიდიოდე წელიწადს 232 ქართული სკოლა დაარსებულა გურია-სამეგრელოში, ბავშვებით ავსილა, სახელი მოუპოვია ხალხში, ქართული წერა-კითხვა და ენა სამეგრელოში გავრცელებულა კუთხით-კუთხემდე... ჩემსობას!

„მეთორმეტე საქმე". 1902 წლის გეგმას არ გაუტანია გურია-სამეგრელოში...

მეცამეტე „საქმე": როცა ზოგიერთ პირთა უგუნურ მოქმედებით, (რასაც დიდად შეუწყვეს ხელი ჩემმა ფოთელმა „მეგობრებმა"), ქართული ენა ოფიციალურად განიდევნა სამეგრელოდან, ვიღაც „გმირს" ეს არ შეუსრულებია, კომისია დაუნიშნებია (სულ რუსთაგან), თითონ გარეულა შიგა, გაუმარჯვნია და ის „გაგდებული ქართველი ისევ გაუბატონებია წინანდებურად! ის „ვიღაცა" მართლა უშიშარი ყოფილა, თორემ აბა რომელი მოხელე გაბედავდა ამასა... აბა, გამოიცანით, ვინ იყო „ის ბიჭი", თუ მოგახსენებთ, რომ ხსენებულ კომისიაში ქართველი მარტო მე ვერიე?

მეთოთხმეტე საქმე—არა ნაკლებ „სალალატო" ჩემი მოქმედება იმერეთის ეპარქიაში, როგორც უკვე გამოირკვა უკვე ჩემ და ბ. გოგებაშვილის შორის პოლემიკაში... იმდენად „სალალატო", რომ პირველად რიხით გამოსული ბ. იაკობი დღეს ჩემმიერ პირდაპირ დაყენებულ კითხვებს გაექცა, პოლემიკა დასრულებულათ აღიარა და სხვებს ემუდარება: ახლა თქვენა წერეთ, გამოაქვეყნეთ ბ-ნ ჟორდანიას საქმენი სავმიროონი...

გამოაქვეყნეთ, ბატონებო, გამოაქვეყნეთ! მიაწოდეთ ყოველგვარი მასალა ჩემ-მიერ არჩეულ ბანოვან მოსამართლეს... თუ არ მოგწონთ იგი, გამოაცხადეთ, თუ არა და მისს სიტყვას ენდეთ... **ბევრი ლაპარაკი** არ არის საჭირო: სთქვით პირდაპირა: ჩამოთვლილნი „საქმენი" ჩემნი არიან თუ არა—მაქვს მე მათში წილი თუ არა? და **თუ ეს ასე არ არი, ვის უნდა მივაწეროთ ისინი, ვინ გაიტანა თავის ზურგზე ყველა აღწერილი ბრძოლა ქართულ ენისათვის.**

თ. ჟორდანია.

---

*) იხ. „სახ. გაზ." № 555.

შეცდომის გასწორება ამ ჩემის წერილის დაბეჭდილ პირველ ნახევარში ერთი ისეთი კორექტურული შეცდომა შეიპარა, რომელიც მთლად ამახინჯებს წერილის აზრს. მეორე სვეტში, ზევიდან მე-16 სტრიქონში დაბეჭდილია: „ჩუმად" უნდა იყოს: **„ჩემად" თ. ჟ.**

იაპონური ზღაპრები

ძიქინინქი.

ლაფკადიო ჰირონისა.

ერთხელ მინოს მაზრაში მოგზაურობის დროს ზენის სექტის (მწვალებელნი) ქურუმს, მუზო კოკუშს, უდაბურ მთებში გზა აერია. დიდ ხანს დაეხეტებოდა ის უმწეოდ, იმედიც დაჰკარგა ღამე რამე თავსაფარს იპოვნიდა, მაგრამ უცებ სერზე, რომელსაც ჩამავალი მზის სხივები მოჰფენოდა, თვალი მოჰკრა განდეგილის ქოხს ანჯიოსუს. მგზავრი იქითკენ გაეშურა. ქოხი ძალიან პატარა იყო, დანგრეული. შიგ ერთი მოხუცი ბერი სცხოვრობდა. მუზო კოკუშიმ სთხოვა ღამე გამათევინეო. ბერმა ცივი უარი სტკიცა, მხოლოდ უთხრა—აქვე, ზარად, პატარა სოფელია, იქ შეიძლება მიგიღონ და პურიც გაჭამონ. გზაც აჩვენა.

მუზო ნაჩვენებ გზას დაადგა და მალე სოფელსაც მიაღწია. სოფელი სულ რამდენიმე სახლისაგან შესდგებოდა. მამასახლისის სახლში მას მხიარულად შეეგებნენ, შინ შეიწვიეს. ოთახში, სადაც მუზო შევიდა, ორმოციოდ კაცი იყო. მას პატარა ოთახი დაუთმეს და ვახშამი და საწოლი მოუმზადეს. მოქანცულს მუზოს მალე მოჰპარა ძილმა თავი. მაგრამ შუაღამე არ იქნებოდა ხმაურობამ გამოაღვიძა. მეორე ოთახში ხმა მაღლა სტიროდნენ. მალე გადაიწია ფარდა, შემოვიდა ფანრით ხელში ჰაბუკი, მოწიწებით დაუკრა ქოქუშის თავი და უთხრა:

— საწუხარო ვალი უნდა შევასრულო და მოგახსენოთ, კეთილშობილო სტუმარო, რომ ამას იქით ამ ოჯახის პასუხისმგებელი, უფროსი მე ვარ. გუშინ მხოლოდ უფროსი შვილი ვიყავი. ისე დაღალული რომ მოხვედით, არ გვინდოდა თქვენი შეწუხება; ამიტომ არ გითხარით, რომ ორიოდ საათის წინ მამაჩემი გარდაიცვალა. ის ხალხი, მეორე ოთახში რომა ნახეთ, ჩვენი სოფლელებია. შეიკრიბნენ, რომ მიცვალებულს უკანასკნელი ვალი გადაუხადონ. ეხლა ყველანი მივდივართ მეორე სოფელში, რომელიც აქედან სამ მილზე (აღაჯზე) იქნება. ჩვენ ასეთი ჩვეულება გვაქვს. რო ვინმე მოკვდება, იმ ღამეს სოფელში არვინ უნდა დარჩეს. ეხლა ლოცვებს შევასრულებთ წესისამებრ, შესაწირს შევწირავთ და მიცვალებულს მარტოკა დავტოვებთ. ჩვენ კი წავალთ აქედან. ამ დროს სახლში მუდამ ბევრი საიდუმლო რამე ხდება. მგონია თქვენთვისაც უმჯობესი იქნებოდა ჩვენთან წამოსულიყავთ. ბინას მეორე სოფელში გიშოვნიდით. მაგრამ შეიძლება თქვენ, როგორც ქურუმს, ავი სულებისა არ გეშინიანთ? თუ ასეა სიამოვნებით დაგითმობთ ჩვენს ღატაკ ქოხსა. მაგრამ გაფრთხილებთ, აქ ღამის გათევას მხოლოდ ქურუმი გაჰბედავს.

— გმადლობთ დიდად სიკეთე, სულგრძლება და მასპინძლობისათვის, მიუგო მუზომ. ვწუხვარ მამის სიკვდილი წინად არ შემატყობინეთ. თუმცა მოქანცული ვიყავ, მაგრამ არც ისე, რომ ქურუმის მოვალეობა ვერ შემესრულებინა. თქვენი უბედურება წინად რომ გამეგებოდა, თქვენ წასვლამდის ყველა წესებს ავუგებდი. ეხლა კი ამ წესებს მარტოკა შევუსრულებ და თვალმოუხუჭელი დილამდე ლოცვაში გავატარებ მიცვალებულთან. არ ვიცი რა სათრთხეზე ლაპარაკობთ, მაგრამ მე არ მეშინიან არც ავი სულისა, არც მოჩვენებისა. ნუ შესწუხდებით ჩემზე.

ამ სიტყვებზე ყმაწვილს ძალიან გაეხარდა და მადლობა გადაუხადა, როგორც ეს იაპონიაში წესად მიღებული. ოჯახის დანარჩენმა წევრებმაც რომ გაიგეს ქურუმი აქ დარჩენისა და ლოცვას აპირებსო, მოვიდნენ, რომ მისთვის თავის მხრივ მადლობა გადაეხადათ.

— ეხლა კი, პატივცემულო სტუმარო, მიუბრუნდა მუზოს ჰაბუკი, ჩვენდა სამწუხაროდ მარტოკა უნდა დაგტოვოთ ნახვამდის. სოფლის ჩვეულებით შუაღამის იქით აქ არავინ უნდა დარჩეს. გთხოვთ თქვენს თავს არაფერი მოაკლოთ, რადგან მასპინძლობას ჩვენ ვერ გიწევთ. ხოლო როცა დავბრუნდებით, უარს ნუ გვეტყვით და გვიამბეთ ყველაფერი, რასაც ამაღამ ნახავთ და გაიგონებთ.

სოფლიდან ყველა გავიდა. დარჩა მარტო ქურუმი მიცვალებულთან. ცხედრის წინ ჩვეულებრივი ტაბლა ელაგა და ბუდას პატარა ლამპარი ენთო. მუზომ ლოცვები წაიკითხა, მიცვალებულს წესები აუგო და საღმრთო ოცნებას მიეცა. ამ ოცნებაში გაატარა ესე ორი საათი. მკვდრული სიჩუმე იდგა. გარედანაც ჰაჭანება არავისი ისმოდა. მაგრამ ღამე რომ კარგად გატყდა, ოთახში უცებ გაიელვა აჩრდილმა, ვეებამ, ბუნდოვანმა. მუზოს ენა ჩაუვარდა დამუნჯდა, გაქვავდა. მას მოეჩვენა, რომ აჩრდილი ეცა ცხედარს, თითქოს ხელებით აიტაცა იგი, დაიწყო თავიდან და ხელად გადასანსლა. მთლად, როგორც კატამ თაგვი, არაფერი დარჩა — არც თმა, არც ძვალი, არც სუდარა. წყეული ახლა ტაბლას ეცა, თვალის დახამხამებაში ისიც გადაყლაპა და გაჰქრა ისევე ჩუმად, როგორც გამოჩნდა.

მეორე დილას გლეხები რომ დაბრუნდნენ, სახლის წინ დაინახეს ქურუმი. სალამი მისცეს, შევიდნენ ოთახში, მიიხედ-მოიხედეს,—ცხედრის გაქრობამ ისინი სრულიად არ გააკვირვა.

— წმიდაო მამაო, მიუბრუნდა მუზოს სახლის უფროსი, უეჭველია ღამე დიდ შიშს გამოსცდიდით. ყველანი ვწუხდით თქვენთვისა, ეხლა კი ბედნიერი ვართ, რომ უვნებლად გხედავთ. სიამოვნებით დავრჩებოდით თქვენთან, შესაძლებელი რომ ყოფილიყო. მაგრამ, როგორც უკვე მოგახსენეთ, წესადაა არავინ დარჩეს შინ იმ ღამეს, როცა სოფელში ვინმე მოკვდება, მიცვალებულს მარტოკა ვტოვებთ. ყოველდროს, როცა ამ წესს ვარღვევდით დიდი უბედურება ხდებოდა. ხოლო როცა შინ არავინა რჩებოდა ჰქრებოდა ცხედარიც, ტაბლაც. ეხლა თქვენ იქნება იცოდეთ რა ხდება ხოლმე აქა?

მუზომ ყველაფერი უამბო, როგორა ნახა აჩრდილი, როგორი ბუნდოვანი, საშინელი იყო ისა, როგორ გადაყლაპა ცხედარიც, ტაბლაც.

— მაგნაირია ჩვენი სოფლის თქმულებაც, რასაც თქვენ გვიამბობთ დაიწყო მასპინძელმა.

— მერე ის განდეგილი—ბერი, ანჯითსუში რომა სცხოვრობს აქვე, გორაკზე, წესებს არასრულებს ხოლმე როცა ვინმე მოგიკვდებათ?

— განდეგილი-ბერი? გაკვირვებით შეჰყვირა სახლის უფროსმა.

— ჰო, ისა, გუშინ საღამოს რომ თქვენსკენ გამომგზავნა. კარი დავუკაკუნე, მაგრამ არ უნდოდა ქოხში შევეშვი და ხელი აქეთ გამომიშვირა.

ამ სერზე, წმინდაო მამაო, დაიწყო პატარა სიჩუმის შემდეგ მასპინძელმა, არ არის არც განდეგილი, არც ანჯითსუ. აგერ უკვე რამდენიმე ჩამომავლობაა, რაც აქ ახლო-მახლო მუდამოებში მუდმივი მქადაგებელი არ არის.

მუზომ არაფერი უთხრა. მიხვდა, რომ მასპინძელნი მას ეშმაკის მსხვერპლად სთვლიდნენ. გამოეთხოვა, გზა ჰკითხა და გადასწყვიტა ანჯითსუ კიდევ ენახა, რომ დარწმუნებულიყო, მაცდური იყო ის მართლა თუ არა. მუზომ მალე იპოვა ქოხი. განდეგილმა ის ეხლა კი შიგ შეიწვია. ქურუმი შევიდა.

— ოჰ, როგორა მრცხვენიან, როგორა მრცხვენიან!!..—უთხრა მას მოხუცმა და დაბლა დაუკრა თავი.

— გუშინ რომ არ შემომიშვით? რისა გრცხვენიანთ, ხომ მასწავლეთ სოფელი, სადაც სიამოვნებით მიმიღეს. მე მადლობელი ვარ თქვენი.

— არავის მიღება არ შემიძლიან მე, მიუგო განდეგილმა. იმისი კი არა მრცხვენიან, რომ არ შემოგიშვით, იმისი მრცხვენიან რომ ჩემი ნამდვილი სახითა მნახეთ. წარსულ ღამეს ხომ მე შევსანსლე ცხედარიც, ტაბლაც. იცოდეთ, წმიდაო მამაო, რომ მე კაცის მჭამელი ვარ—ძიქინინქი*).

შემიბრალეთ, მომისმინეთ ეს ცოდვა, რომლისათვისაც ასეთ სამარცხვინო ყოფაში ვარ ჩავარდნილი. დიდიხნის წინად მე ამ ყრუდამურ ადგილებში ქურუმად ვიყავ; აქ ახლო-მახლო სხვა ქურუმი არ იყო, ამიტომ მიცვალებულნი ჩემთან მოჰქონდათ, ხშირად ძალიან შორიდანაც, ანდერძისა და წესების ასაგებად. მაგრამ მე არას დაგიდევდი, ხელ და ხელ წავიტუტუნებდი, შევხანხლავდი წესებსა და მეტ წილს მხოლოდ გემრიელ საჭმელზე დ ტანისამოსზედა ვფიქრობდი, ამას ჩემი სამსახური, ღირსება მაძლევდა. მოვკვდი თუ არა, ამ ცოდვებისათვის ძიქინინქად გადავიქეცი. მას აქეთ მოსჯილი მაქვს ამ სოფლის მკვდრებით ვიკვებო. ყველა უნდა ვსანსლო ისე, როგორც ეს წარსულ ღამესა ჰნახეთ... გევედრებით, წმიდაო მამაო, წამიკითხეთ სეგაქის წმიდა ლოცვები**).. გაფიცებთ, დამეხმარეთ თქვენი წმიდა ვედრებით, რაც შეიძლება მალე დავახწიო თავი ასეთ სამარცხვინო ყოფას!!...

*

და განდეგილი უცებ გაჰქრა, გაჰქრა იმისი ქოხიცა. მუზო კოკუშიმ უცებ მაღალ ბალახში ამოჰყო თავი—მარტოკა იდგა მუხლზე ქურუმის ძველ საფლავის, პო-რინ-იშის***) რომელიც ხავსით დაფარულიყო.

ხან-განიძე.

---

*) ძიქინინქი—სიტყვა-სიტყვით ბოროტი სული—კაცის მჭამელი.

**) ბუდას მღვთისმსახურება იმათ სახელობაზე, ვინც სიკვდილის შემდეგ კაცისმჭამელად იქცა.

***) სიტყვა-სიტყვით ხუთ მუხლიანი ქვა—ძეგლი. შესდგება ხუთ სხვა და სხვა სახის ერთი მეორეზე დადგმულ ნაწილისაგან. ეს ნაწილები სიმბოლოა ხუთ მისტიურ ნაწილისა: ეთერის, ცეცხლის, ჰაერის, წყლის და დედამიწისა.

ხ—გ.

გაფიცვები.

დეპეშები

ლონდონი. „ტაიმსი" მოწინავე წერილში ამბობს: მუშაობის ყველგან დაწყნარების იმედი არ უნდა ვიქონიოთ. თუმცა ნაადგომევს საბოლოოდ გათავდება გაფიცვა, მაგრამ ბევრი დრო გავა, ვიდრე ინგლისის მრეწველობა ეხლანდელ გაფიცვით დაზარალებული, წელში გასწორდებოდესო.

ჩიკაგო. 15000 დურგალი გაფიცულა. გაფიცვა შეეხებია 70 მილიონის სამშენებლო საქმეს.

პრაგა. გაფიცვის მთავარმა კომიტეტმა გადასწყვიტა ჩეხიის ქვანახშირის რაიონის მუშებს ურჩიოს, რომ 21 მარტს დამქირავებლებთან შეთანხმდნენ დ მუშაობა განაახლონ.

არეულობა სპარსეთში

დეპეშები

თავრიზი. არდებილის მხარეში დიდი შიშიანობაა. თეირანში, ორი წლის წინად ეფრემის მიერ დაპატიმრებული შაჰსევანთა ბელადები გაანთავისუფლეს. ოლქის მცხოვრებნი რუსეთის საკონსულოს ეხვეწებიან, შაჰსევანთა ყაჩაღებისაგან დაგვიფარეო.

ოსმალეთ-იტალიის ომი

დეპეშები

პერიმი. იტალიის სამხედრო გემმა „პიემონტემ" ოფიციალურად გამოაცხადა: ლოპეისა და კამარეს 1 აპრილს ალყას შემოვკრავო. აგრეთვე იმ ადგილებს, სადაც სალოცავად მიმავალი ხალხი გაივლის ხოლმეო. იტალიელებმა ბრიტანიის გემი „ვუდკოვი" დაატყვევეს ლოხეიას ახლოდ და მასოკში მოიყვანეს. იტალიელებმა არაბეთის ნახევარ კუნძულსა და კუნძულ კამარანს შორის გაბმული მავთულის თოკი გასწყვიტეს,

სიცილიასთან იტალიელებმა გემი „ელბისი" დაიჭირეს, რადგან კონტრაბანდის გადაზიდვას აბრალებენ.

დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტო)

საზღვარ-გარედ.

21 მარტი.

ჩარიკოვის წამოსვლა.

სტამბოლი. ელჩად ნამყოფი ჩარიკოვი გემ „კოროლევა ოლგა"-თი ოდესას გამოემგზავრა. ნავთსადგურამდე გააცილეს ხონთქრის წარმომადგენელმა, ყველა მინისტრმა, რუსეთის საელჩოს და საკონსულოს ყველა წევრმა და რუსთა ახალშენის წარმომადგენლებმა. ახალ ელჩის გირსის-ჩამოსვლას აღდგომის კვირაში მოელიან.

იტალიის ვითარება.

რომი. სენატის სესია დროებით შესწყდა, არ იციან რამდენის ხნით. ჯიოლიტი თავის მამულში წავიდა და ათ დღის შემდეგ დაბრუნდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პრემიერის აქ არ ყოფნის დროს ომის საქმეში ცვლილება არა მომხდარა. ომისათვის ჰაეროპლანების მოსამზადებლად ფულის მოგროვებისათვის მეფისა და ჯიოლიტის მეთაურობით კომიტეტი შეადგინეს. საპატიო წევრად ფინანსთა მინისტრია, თავმჯდომარედ—გარეშე საქმეთა მინისტრი.

ოსმალეთის ვითარება.

სალონიკი. კარაბურინის სიმაგრეში დაბანაკებულ ჯარის აფიცერთა შორის შეტაკება მოხდა. ჩხუბი ასტყდა ლიბერალებსა და „ერთობისა და პროგრესის“ კომიტეტის მომხრეთა შორის, ოპოზიციონერების მოთხოვნილების გამო. ოპოზიციონერები მოითხოვდნენ საარჩევნო სიების შესწორებას, დააპატიმრეს 10 ოპოზიციონერი და სამხედრო წიდანაც გამორიცხეს.

მაროკოს საქმე.

პარიზი. „ჰავასს“ ტანჟერიდან ატყობინებენ მაროკოს პროტექტორატის ამბავს: ხონთქარს ფეცში ხელი მოუწერია ხელშეკრულებისათვის 17 მარტს. ხელშეკრულება, თურმე, ძალიან ჰგავნებია ტუნისის საპროტექტორატო ხელეკრულებას და ესპანიასაც ზოგიერთ უფლებას უტოვებს.

მორგან შუსტერი.

ვაშინგტონი. მორგან შუსტერს „ნაციონალ-სიტის საზოგადოების“ წარმომადგენლობა ჩააბარეს. მან სამხრეთ ამერიკაში მუშები უნდა მოაგროვოს.

კრამარჟის არჩევა.

პრაგა. პარტიის კომიტეტმა გარდაცვალებულ თავმჯდომარის შკარდის მაგივრად კრამარჟი აირჩია.

ქალთა გათანასწორების საკითხი.

სტოკჰოლმი. მთავრობამ რიკსდაგში (პარლამენტია) შეიტანა კანონპროექტი, რომლითაც ქალები საპოლიტიკო უფლებაში მამაკაცებს უნდა გაუთანასწორონ.

ეგვიპტეში.

ქაირო. ინგლის-ეგვიპტის მთავრობის მიერ გაგზავნილ ჯარის რაზმს ანუაკის ტომელები დაეცნენ. მოუკლეს 34 ჯარისკაცი და ხუთი აფიცერი. ანუაკთა ზარალი დიდია.

ინგლისის ბიუჯეტი.

ლონდონი. საზოგადოებათა პალატა. ლოიდ-ჯორჯმა ბიუჯეტი შეიტანა და განაცხადა: წრეულს შემოსავალი 6,545,000 თუმნით მეტია შარშანდელზეო. ამისთანა შემთხვევა ჯერ არ მომხდარა. ხარჯი ნავარაუდევია 186.885,000 თუმნად და აღემატება შარშანდელს, 5,619,000 თუმნითაო.

იტალიის ბიუჯეტი.

რომი. ცხრა თვის მთავარი შემოსავალი უდრის 1,349,000,000 ლირს (ლირი—$37^{1}/_{2}$ კაპ.) და აღემატება შარშანდელს 57 მილიონითა.

ავსტრია-ჰუნგრეთი.

ბუდაპეშტი. დეპუტატთა პალატა. იუსტას პარტიის წევრმა ბაკონიმ აღნიშნა საშიშროება მეფისა და ერის დაპირდაპირებისა. გეზა პოლონიმ სთქვა: ძალიან საკვირველია მეფის გადადგომის თაობაზე გავრცელებული ხმები. ჰუნგრეთის კანონის ძალით, მეფეს ერის თანხმობით შეუძლიან გადადგომა და არა როგორც სააქციო საზოგადოების თავმჯდომარესაო (მემარჯვენეებმა ცხარე პროტესტი განაცხადეს). მონარქიაში შეუძლებელია მეფემ მინისტრ-პრეზიდენტობა იმისთანა კაცს ჩააბაროს, ვინც პირდაპირ ეწინააღმდეგება მეფის აზრებსა. პარტიათა გადაწყვეტილება, ყურად იღონ. კუენქედერვარის ხელმეორედ გამწესება ჰმოწმობს, რომ ეხლა მემკვიდრესთან მოელიან უთანხმოების ჩამოვარდნასა (მემარჯვენეებმა ეხლაც ცხარე პროტესტი განაცხადეს). მთავრობამ დიდი შეცდომა ჩაიდინა, როდესაც კაბინეთის ხელმეორედ დანიშვნა მეფის გადადგომის განზრახვას დაუკავშირაო. პრეზიდენტმა პოლონის წესიერება მოაგონა სააქციონერო საზოგადოების თავმჯდომარესთან მეფის შედარების გამო. სუემეგიმ წამოიძახა: „ეტყობა თქვენის წყალობით უმეფნია ეხლა მეფესა!“ პრეზიდენტმა სუემეგის წესიერება მოაგონა. პოლონიმ და სუემეგიმ ბოდიში მოიხადეს: სრულიადაც არა გვსურვებია მეფისადმი უპატივცემულობა გამოგვეჩინაო.

მოწაფეთა გაფიცვა.

ლვოვი. სტანისლავოვში უფროსებისა და მოწაფეების უთანხმოების გამო, გაფიცულან სასტატო სემინარიის მოსწავლენი.

რუსეთი

ვარშავის უნივერსიტეტი.

ვარშავა. ვარშავის ინტელიგენტთა საქმის გამო გადაუწყვეტეს: ტეხნიკოსს ადამოვიჩს—10 ათასი მანეთით დაჯარიმება და სამსახურიდან დათხოვნა. ხუთს—დაჯარიმება 800—60 მანეთამდე. 22 გაამართლეს.

თეატრი და ხელოვნება

ახალგორი (დუშეთის მაზრა). ამ თვის ათში ალაგობრივი სცენის მოყვარეთა თაოსნობით სოფ. ახალგორში გაიმართა წარმოდგენა ახალგორის სკოლის სასარგებლოდ. წარმოადგინეს „ადვოკატი“, „უბედური დღე“ და „ოინბაზი“. თავისი ხელოვნური თამაშით ამშვენებდნენ ანნა გურამიშვილისა და ნინა მ. ვართანოვისა (ახალგორის ბებია) თავისი ძმით. კარგები იყვნენ ვასო რატიშვილი ონოფრეს როლში და სოლომანა მაჭავარიანი ებრაელ აკობას როლში.

იმედია ადგილობრივი სცენის მოყვარენი ხშირად გაუმასპინძლდებიან წარმოდგენებით ბედშავ ქსნის ხეობის გლეხ-კაცობას; მხოლოდ საჭიროა წარმოდგენები თუ უფასო არა, რაცკი შეიძლება ნაკლებ ფასად იყოს ხოლმე.

მ. ახალგორელი.

წერილი რედ. მიმართ

ბატონო რედაქტორო! ნება მომეცით თქვენ პატივცემულ გაზეთის საშუალებით მადლობა გამოვუცხადო ს. თიანეთის მოვაჭრეს მოსესა გიორგის ძე ხითაროვს, რომელმაც ათი თუმნით დახმარება გამიწია.

ქ. კიევი, **სტუდ. ალ. ნამორაძე.**

რედაქტორ-გამომცემელი
ნ. კურდღელაშვილი.

გამოსადეგი ცნობა

მატარებელთა მიმოსვლა

ზამთრობით (15 ოქტომბრიდან 1911 წ.)
(დრო ტფილის. საათითაა ნაჩვენები, რომელიც პეტერბურგისაზე 58 წ. არის წინ).

ტფილისიდან გადის.

ბათუმისაკენ: 1) სამგზავრ. მატარ. № 7, I—II კლ., სად. 10 ს. 38 წ., გორში 1 ს. 25 წ., მიხაილოვში 3 ს. 8 წ., რიონში დილ. 7 ს. 52 წ., ბათუმში 1 ს. 42 წ.

2) სამგზ. მატ. № 5, I—III კლ. სად. 5. ს. 45 წ., გორში 8 ს. 24 წ., მიხაილოვში 9 ს. 51 წ., რიონში 1 ს. 54 წ., ბათუმში დილის 6 საათ. 26 წ.

3) საფოსტო მატ. დილ. 9 ს. 50 წ., გორში 12 ს. 27 წ., მიხაილოვში 1 ს. 56 წ., რიონში დილ. 6 ს. 17 წ., ბათუმში 11 ს. 3 წ.

ბაქოსაკენ: 1) ჩქარი მატ. № 2, I—III კლ. დილ. 10 ს. 20 წ., განჯაში 3 ს. 18 წ., ბალაჯარში ღამ. 1 ს. 16 წ., ბაქოში 11 ს. 43 წ.

2) სამგზ. მატ. № 6, I—II კლ. დღ. 3 ს 38 წ., განჯაში ღამ. 9 ს. 46 წ., ბალაჯარაში დილ. 7 ს. 34 წ., ბაქოში 8 ს. 1 წ.

3) საფოსტო მატ. № 4, I—III კლ. ღამ. 11 ს. 18 წ., განჯაში 5 ს. 29 წ., ბალაჯარაში დღ. 3 ს. 30 წ., ბაქოში 4 ს. 42 წ.

4) შერეულ. მატ. № 106, IV—III კლ. დილ. 5 ს. 32 წ., განჯაში 2 ს. 57 წ., ბალაჯარაში დილ. 5 ს. 8 წ., ბაქოში 7 ს. 12 წ.

ბორჯომისაკენ: 1) სამგზ. მატარებ. № 9/6ხ, I—III კლ, დღ. 3 ს. 23 წ., ბორჯომში 9 ს. 2 წ.

ჯულფასა და ერევნისაკენ: 1) საფოსტო მატ. № 74/75, I—III კლ. სად. 1 ს. 48 წ. ჯულფაში მეორე დღის სად. 11 ს. 10 წ.

2) სამგზ.-საქონლ. მატარ. № 78—79, II—III კლ. დღ. 5 ს. 34 წ., ერევანში დილის 11 ს. 6 წ.

ტფილისში მოდის.

ბათომიდან;) სამგზ. № 6, I—III კლ. 2 ს. 50 ს. საფოსტ. № 4, I—III კლ. დილ. 10 ს. 28 წ. 3) სამგზ. № 8, I—III კლ. დილ. 5 ს. 33 წ.

ბაქოდან: 1) სამგზ. № 5, I—I I კლას. სად. 5 ს. 7 წ. 2) საფოსტ. № 3, I—III კლ. დილის 8 ს. 54 წ. 3) ჩქარი № , I—III კლ. ღამ. 9 ს. 56 წ. 4) შერეული № 07, IV—III კლ. ღამის 9 ს.

ერევან-ჯულფიდან: საფოსტო მატ. № 72/73, I—II კლ. 8 ს. 25 წ. 2) სამგზავ.-საქონ. № 80/81, II და III კლ. დღ. ს. 40 წ.

ბორჯომიდან: სამგზ. № 61/0, I—II კლ. დილ. 8 ს.

შენიშვნები: 1 გადაუჯდომლად პირდაპირ მგზავრობა ტფილის-ბაქო-როსტოვამდე შეიძლება განსაკუთრებულ ვაგონებით, რომელიც ამიერ-კავკასიის 1 და მე-2 მატარებელს მისდევს, ხოლო კავკასიის მატ. მე-5 და მე-6. ყველა ვაგონები პლაცკარტითაა (საკუთარ. საწოლებით).

უფასო საექიმო დახმარება

ქალაქის საბჭოს ექიმები.

უბნები

1—2 **გ. ა. გედალინი** (სდგას ვერაზე, ოლგის ქუჩა, 22. ტელეფ. 592).

3—4 **მ. ი. შავერდოვი** (ფეთხაინის აღმართზე, 1, ტელ. 619).

—6 **ტ. მ. თათეოსიანი** (ველიამინოვის, 4, ტელეფ. 680).

6—7 **შ. ა. მიქელაძე** (ავლაბარში, კახეთის ქ., 1, ტელ. 816).

8—9 **ნ. დ. ხატისოვი** (კუკიაში, ნიკოლოზოვის ქ. 7, ტელ. 715).

10, 11—12 **ა. ი. შჩერბინინისა** (დიდუბეში, საგურამოს ქ. 5. ტელეფ. 715)

ქალაქის საავადმყოფოები

მთავარი—მუხრანის ქუჩა, 9.
ავლაბრისა—კახეთის ქ. № 15.
ხარფუხისა—ვორონცოვის ქ. 55.
კუკიისა—ჩერქეზიშვილისა, 1—18.
დიდუბისა—საგურამოს ქ. 5.

ქალაქის საბჭოს ექიმები მოვალენი არიან ღარიბ მცხოვრებთ უფასო საექიმო დახმარება აღმოუჩინონ ქალაქის საავადმყოფოებში და თვითონ ავადმყოფის ბინაზედაც (ყოველმა თავ-თავის უბანში), თუ უბრალო ექიმი დილის 11 საათამდე მოიწვიეს, ვალდებულია იმ დღესვე ინახულოს ავადმყოფი, გარდა საჩქარო შემთხვევებისა, როცა დახმარება დაუყოვნებლივ უნდა მისცეს.

—::—

სასანიტარო ექიმები

უბნები: 1, 2—9 **პ. ფომინა-ოსიპოვისა** (ვაკეში, საკუთარი სახლი, ტელეფ. 461).

მე-4 და რუსის ბაზარში **ქრ. ლ. ქალანთაროვი** (სოლოლაკი, ამაღლების ქ. 8, 517).

5—6 **ი. მ. ზაბლუდოვსკი** (გრიბოედოვსკი, 10. ტელ, 645).

7—8 **გ. თ. ნათიშვილი** (ვორონცოვის ძეგლთან, მონუმენტნი შესახვ. 5. ტელ. 487).

10, 11—12 **ვ. ა. მირაქოვი** (მიხეილის ქ., 174 ტელ. 327).

სასურველია, თვითონ მცხოვრებლები დაგვეხმარებოდნენ სასანიტარო წესიერების შემოღებაში და სადაც-კი ამ მხრივ უწესობას შეჰნიშნავენ—სახლებში თუ სხვა ადგილებში სასანიტარო მოთხოვნილებათ არღვევენ, ცუდს საჭმელ-სასმელს აკეთებენ და ჰყიდიან და სხ.—დაუყონებლივ ზემოდ დასახელებულ ექიმებს აცნობონ, წერილობითი განცხადებები ყველას შეუძლიან გარდასცეს ქალაქის სავაჭრო პოლიციის კანტორებში; ვერის მოედანზე. რუსის ბაზარში, თათრის მოედანზე, კახეთის მოედანზე, ავლაბარში რიყის ქუჩაზე, 54, ელისაბედის ქუჩა 56 და მალაკნის მოედანზე.

გემების მიმოსვლა შავ-ზღვაზე.

(ზამთარში).

რუსეთის საზოგადოებისა.

ბათომიდან გადის: ოდესისაკენ პირველი—საფოსტო-სახალხო გემი სამშაბათობით ღამის 1 საათს, ყველა ზღვის პირა ქალაქს გაივლის. მეორეც—ხუთშაბათობით, ღამის 1 საათს. პირ და პირ—სოხუმით, გაგრათი, სოჭით, ტუაფსეთი, ნოვოროსიისკითფეოდოსიით, იალტათი, სევასტოპოლითა და ევპატორიით შაბათობით, შუაღამეს.

სახალხო გემები ყველა ზღვის-პირა ქალაქებზე ორშაბათობით და სამშაბათობით ნაშუადღევის 2 საათს.

სახალხო-საქონლის გემები — ესენიც ყველა ქალაქისკენ გაევლიან ოთხშაბათობით და პარასკეობით შუაღამეს.

განცხადებანი

სამკურნალო
ექიმთა საზოგადოებისა
მუდმივის საწოლებით.

მიხეილის ქუჩა, № 59, მიხეილის საავადმყოფოს პირდაპირ, ტელეფონი № 1026.

იღებენ ავადმყოფთ:

ბლაჯანოვი—საშარდე ორგანოთა, ათაშანგისა და კანის სნეულებისა—დღის 11—12 ს,

ვ. ვ. ვნუკოვი—ქირურგიულ სნეულ. ნაშუად. 1—2 საათამდე.

ეგიაზაროვი ი. ნ.—შინაგან, ნევრვებსა, სულით-ავადმყოფთ. ელექტროტერაპია დილის 11—12 საათამდე.

კიმონტი გ. პ.—ქირურგიულ სნეულ. დილის 11—12 საათამდე.

მაგაკიანი გ. ნ.—შინაგან სნეულებ. და ბავშვების ავადმყ. დილ. $11^{1}/_{2}$—$12^{1}/_{2}$ სათ.

ა. დ. კალმიკოვისა-ვნუკოვისა—დედათა ავადმყ.—დილ. 11—12 ს. სამკურნალოში ელექტრონითა და მასაჟით სწამლობენ. მიკროსკოპიულ, ბაქტერიოლოგიურ და ქიმიურ გამოკვლევას ახდენენ. ყვავილს უცრიან, ძიძებს ამოწმებენ. რჩევის ფასი 50 კ. ოპერაციებისა და კონსულტაციების ფასი—მორიგებით. სამკურნალოს სტაციონალური განყოფილება შესდგება საზოგადო პალატისა და ცალკე ნომრებიდან.

წამლობა „606“-ით.

(100—1615—40)

თევზით ვაჭრობა
სპირიდონ ლავრენტის ძე ხუროშვილისა

სალდ. ბაზარში. ყოველთვის იშოვება ჩვენს მაღაზიაში და საწყობში **ახალ-ახალი ორაგული,** ზუთხი, თართი, ლოქო, კეფალია ტაბაკა თევზი—(კამბულა) ფარგა, კომრის (გოჯა) და სხვანი.

— **მუდამ იშოვება** —

ხიზილალა ქვირითი, წითელი ხიზილალა და ბოჩკის ხიზილალა, გირვანქა 1 მანეთიდან.

ზურგიელი დონისა და ადგილობრივი.

— **დოში** —

ცოცხალი თევზი: ლოქო, მურწა, ფიჩხული და სხვანი.

ტფილისი, ტელეფ. № 496. (10—1156—8)

გასტრონომიული მაღაზია
ს. გ. კავლაშვილისა

არის ყოველგვარი კალბასეულობა მოსკოვისა და საკუთარი. სადღესასწაულოდ გთხოვთ ნაადრევად დაიკვეთოთ: ლორები, ინდოურები, გოჭები, ხბოს ხორცი, ბატკნისა და სხ. ხიზილ. 1 მ. 30 კ. (1.316.1)

საალდგომოდ კახური ვიჩინები

ლოლაძის ოლგისა და მოსკოვის ქ. კუთხ. ტელეფ. № 665

მაღაზია. საალდგომო სანოვაგე და სხ. გასტრონომიული საქონელი, უცხოეთისა, რუსეთის და ადგილობრივი სასმელები იაფ-ფასებში. (1.317.1)

ექიმ ნავასარდიანის პირველი კერძო სამკურნალო

დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა.

დილით:

„606“—11—12 ს. შეშხაპუნება კონსულტატიურად.

ბ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული, და ვენერიული (სიფილ.) ავად.

ბ. გ. აგაბაროვი: 1—2 ს. შინაგანი ბავშვთა ავადმყ.

კ. მ. ჩიქოვანი: $9^{1}/_{2}$—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანასოვი: 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა,

ნ. ტ. მულინი: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

მ. გ. ავეტისიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

გ. ი. გურგენოვი: 12—1 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

ა. პ. კარაპეტიანცი: 12—1 ს. შინაგანი საბავშვო და ყვავილის აცრა.

ექიმი ქალი **ე. ნ. ამბრუმოვა-მელიქიანი** —2 ს. საბებიო და ქალების ავადმ.

საღამოთი:

მ. გ. ავეტისიანცი: 6—7 საათ.

რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.

სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.**

(წ. 1074.41)

ყოველ-დღე მოგვდის:

ახალ-ახალი ქვირითი 2 მ. 60 კ. გირ. ბოჩკის ხიზილალა 1 მ. 20 კ. გირ. წითელი ხიზილალა, ზუთხი, თართი, ლოქო, ფარგა, კობრი, კალიჩნის თევზეულობა, შამაია და ყოველგვარი გამოსული თევზი

(წ.—1131—2)

თევზის მრეწველნი ძმ. ძებველოვები.

პუშკინის ქ., საკუთარი ს. № 9.
ტელეფონი № 712.

დამყნილ ამერიკულ ვაზის სანერგე

სადგურ გომთან ს. წრომში, სადგურიდან 2 ვერს.

„გიორგის შრომა“

სანერგეს აქვს დამზადებული დიდძალი დამყნილი ამერიკული დაფესვებული ვაზი, სხ. და სხ. ჯიშისა, 1) ნამყენი ამერ. ვაზისა, კახური, ქართლ. და ევროპ. ჯიშებისა—ფასი 100—5—7 მან. 2) ამერიკ. ვაზი დაფესვ. 1000—6—10 მან. 3) სადობავი ეკალი (გლედიჩია) 100—3—6 მან.

დაწვრილ. ცნობ. მიმართეთ: **სადგ. გომი** (ამიერ კავკ. რკ. გზა) **გიორ. ზეჟან. ტატიშვილს.** (თ.—1145—11)

ფეხსაცმელები
თომა დ. ჯანყარაშვილის
მაღაზია-სახელოსნოში.

იყიდება ყოველნაირი ფეხსაცმელი ქალისა, კაცისა და ბავშვისა, აგრეთვე ვიღებთ შემოკვეთილებს, ვამზადებთ საუკეთესო მასალისაგან ზომიერ ფასებში და ვასრულებთ პირნათლად. ადრესი: მუხრანის ქ., № 4, (25—285—12)

ქ. შ. წერა-კითხ. გამ. საზოგ. წიგნის მაღაზიაში

იყიდება შემდეგი საყმაწვილო წიგნები:

„ან“, წერა-კითხვა, ალნიაშვილისა	10 კ.
ალი, ნ. ლომაურისა	10 „
ასპინძის ომი, ი. გოგებაშვილისა	7 „
ამოდის ნათდება, ვაჟა-ფშავ.-სი	15 „
ბუნების მოვლენანი, მესტიაშვილისა	15 „
„ვინ“, ხალხური წვრილი ამბავი, ალნიაშვილისა	20 “
გოგია მეჩანგურე, აკაკისა	5 „
გოგია უიშვილი. ე. ნინოშვ.	5 „
„დონ“, ხალხურ. წვ. ამბ. ალნიაშ.	10 „
„ენ“, გასართობი, ალნიაშვილისა	10 „
ერეკლე მეფე და ინგილო ქალი, გოგებაშვილისა,	5 „
„ვინ“, პაწაწა მინერალოგია, ალნიაშვილისა	15 „
ზღაპრები, ქალების გამოცემა I დასურათებული,	1—25 „
ზღაპრები, ქალ. გამოც. II დას.	1—30 „
„თან“, პაწ. მინერალ, ალნიაშ.	20 „
ივანე რა ჰქმნა? ი. გოგებაშ.	5 „
თავდადებულ. ქართველნი, გოგ.	7 „
კუნწულა, მისივე	40 „
მამაცი მოგზაურები, ზღაპ. დას.	25 „
მურია, თ. რაზიკაშვილისა	5 „
მოსავლის მცველნი, ი. გოგებ.	20 „
მელიას თავ-გადასავალი	25 „
ნაცარქექია, აკაკისა	10 „
პალიასტომის ტბა, ნინოშ.	5 „
სამი ცელქი, შ. მღვიმელისა	15 „
სამშობლოს ბუნების სარკე, ი. ელიაშვილისა	40 „
სამი საყმაწვილო ამბავი, ვაჟა-ფშაველასი	15 „
საყმაწვილო მოთხრობანი, მისივე	30 „
სამი მოთხრობა, ს. ყიფიანისა	5 „
სურამის ციხე,	15 „
საყმაწვილო მოთხრობანი, ე. გაბაშვილისა	30 „
საყმაწვილო ლექსები, თომაშვ.	10 „
შალვას თავგადასავალი, ცახელისა	15 „
ცხოველების გამქრიახობა,	25 „
ქუთათელის სიზმარი, აკაკისა	5 „
ქუნის შეგირდი,	5 „
მუნწი და ნატვრა, შ. მღვიმელისა	10 „

წიგნები ფას-დადებითაც იგზავნება. **ადრესი** ტელეგრამისთვის: Тифлисъ Грамотность. (წ.—1141—12)

გამოვიდა და იყიდება

თ. მთავრიშვილისა და **ამხ. წიგნის მაღაზიაში** (ქუთაისში) და წ.-კ. საზოგადოებისა და ი. მერკვილაძის წიგნის მაღაზიებში (ტფილისში) **კიტა აბაშიძის** ახლად გამოცემული თხზულება:

„ეტიუდები მე-XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის შესახებ“.

ტომ. I, ფასი 70 კაპ. (10—1162—4)

ს. ს. ამხ. გრამაფონი მესაკუთრე გ. ს. დავიდოვი

ტფილისი, გოლოვინის პრ., № 6. ტფ. საკრებულოს ქვეშ.

„მწერავი ამური“.

ჰასუხს აგებს 5 წლის განმავლობაში.

განცხადება: დღეს ჩვენთან მღერის **ლ. ვ. სობინოვი.**

ნაწილობით: გადახდა 4 თვიდან 1 წლამდე.

ახლად მივიღეთ ამერიკული რუპორიანი და ურუპორო **გრამაფონები**

ფასები 35 მ.-დან.

TRADE MARK "GRAMMOPHON"

„მწერავი ამური“

განცხადება: დღეს ჩვენთან მღერის **ვ. მ. შუვალოვისა.**

(2.1170.1)

ნუ იყიდით გრამოფონს
სანამ არ მოისმენთ
პატეფონს

მოლაპარაკე მანქანებში უკანასკნელი გაუმჯობესებაა.

ძმ. პატე სააქციონერო საზ. პარიზში

უნემსოდ უკრავს. საუცხოვო უწრიპინო გადმოცემა. ფირფიტები უცვეთელია. უდიდესი რეპერტუარი. ყოველთვის ახალ-ახალი ჰანგები. შეიძლება ფასის ნაწილ-ნაწილად გადახდა. სრული გარანტია, ფასები საქარხნოა 25 მანეთიდან დაწყებული. ორ-პირი ფირფიტები 1 მ. 75 კ. და 1 მ. 30 კ. ადგილობრივი—1 მ. 30 კ.

ტფილისში იშოვება მხოლოდ

კარლ შუმანთან

ერთად-ერთი წარმომადგენელი ძმ. პატე-სი.
კავკასიის აფიცერთა ეკონომიურ საზოგადოების იჯარადარი.
გოლოვინის პროსპექტი, № 10.

(6—1152—2) **ტელეფონი № 939.**

ტფილისი, მუხრანის ქუჩა № 12, სტამბა „შრომა“.